# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუღლუტობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.



შაბათი, 12 მაისი, 2012 წელი.

№88 (6965)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## თვითონ – ილია, ჩვენ კი – ფაშისტები?!

რა დაგვრჩა ილიობის მოსურნე „ვარდოსანთა" გამოისობით ამ დიდი ქართველის გულ-გონების ნაქური ტრიადიდან, „ვარდობამდელ" ქართველებს სამოქმედო ორიენტირად რომ მიგვაჩნდა?



3

## კიდევ ერთი „ნულოვანი ტოლერანტობა"

## შეწყალებული პატიმრების უმეტესობას არჩევნების გასაყალბებლად ამზადებენ

5

### ედუარდ შევარდნაძე:

## „ენაზე მომდგარ სიტყვასა განა სუყველას თქმა უნდა"!..

### პრეზიდენტ სააკაშვილის ერთი მეტად უხერხული გამონათქვამის გამო

10 მაისს ყვარელში კომპიუტერული სწავლების გამავრცელებლი საზოგადოების პრეზენტაციაზე საქართველოს პრეზიდენტმა ზოგიერთ ქართულ გაზეთს გადაჰკრა დაუკვირვებლად და მოუზომავად, კერძოდ მან ფაშისტურ გაზეთებად მოიხსენია „ასავალ-დასავალი" და „ალია", ასევე „საქართველოს რესპუბლიკა" და ყოფილი „ლიტერატურული საქართველო":

„ჩვენ მოვდივართ იქიდან, სადაც ჩემი წინამორბედი ყოველ დილას იწყებდა „საქართველოს რესპუბლიკის" და „ლიტერატურული საქართველოს" კითხვით, ორი ულტრაფაშისტური გამოცემით საქართველოში. ასეთ ქვეყანაში ვცხოვრობდით ჩვენ, ამიტომ მთავარი გარანტი იმისა, რომ ასეთი რამ აღარასოდეს დაბრუნდება, არის განათლება, განათლება და კიდევ მეტი განათლება" – აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

გუშინ ტელეფონით დავუკავშირდით საქართველოს ექს-პრეზიდენტს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, კაცს, რომელიც, მისივე სიტყვებით თუ ვიტყვით, სამუშაო დღეს სწორედ „საქართველოს რესპუბლიკის" კითხვით იწყებდა, და აზრის გამოთქმა ვთხოვეთ პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ ჩვენი გაზეთის ულტრაფაშისტურ გაზეთად მოხსენიების გამო.

„ამ გაზეთებს ჩემი დაცვა არ სჭირდება. მხოლოდ ერთ ქართულ სიბრძნეს შევახსენებდი კრიტიკის ავტორს: შავ ლუდსა, წითელ ღვინოსა განა სუყველას სმა უნდა, ენაზე მომდგარ სიტყვასა განა სუყველას თქმა უნდა!..

ამ სიტყვების ავტორია ქართველი ხალხი!" – გვითხრა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ.

## ბიძინა ივანიშვილი რუსეთში არსებულ თავის ქონებას მაისის ბოლომდე გაყიდის

2

## პედერასტ-მამათმავალ-ჰომოსექსუალებზე – ოდნავ ვრცლად

როგორ დავიჯეროთ, რომ ზოგიერთი უფლებადამცველი და ხელისუფლებაში მოკალათებულნიც ვერ ხვდებიან ივ მარტივ ჭეშმარიტებას, რომ ჰომოსექსუალებისთვის „არაადამიანური", ანუ ადამიანის მოდგმისთვის საშიში უფლებების მინიჭებით ყველა დანარჩენს ექმნება რეალური საფრთხე.

6

## ქუთაისის პარლამენტის შენობაში ნაციონალი დეპუტატები „ჩაფხუტებით" შევლენ



2

პარტიებსა და მოძრაობებში

# ლეიბორისტები ზვიად გამსახურდიას მთავრობის დაბრუნებას ითხოვენ

**პარტიები წინასაარჩევნოდ ხმების მოსაგროვებლად თუ პოლიტიკური ქულების დასაწერად სხვადასხვა ხერხს მიმართავენ. ლეიბორისტულმა პარტიამ მთავრობის ფორმირების ძველისძველი „ახალი" იდეა წამოჭრა.**

**ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარე შალვა ნათელაშვილი, გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გამოვიდა ინიციატივით, რომ აღდგეს 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩევნების გზით მოსული ზვიად გამსახურდიას მთავრობა და მათ მიერ დაინიშნოს არჩევნები! მისი თქმით, ეს იქნება ისტორიული სამართლიანობის აღდგენა, გარანტი ქართველი ერის გაერთიანებისა და გადარჩენისა.**

ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა ოპოზიციურ



პარტიებს მოუწოდა, ხელი მოაწერონ დეკლარაციას და ქვეყნის მართვა ზვიად გამსახურდიასდროინდელ ლეგიტიმურ მთავრობას გადასცეს.

**— ჩვენი ქვეყნის უბედურება სათავეს იღებს ორი ათეული წლის წინათ მომხდარი კრიმინალური გადატრიალებიდან, როდესაც დაემხო ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება. მათი ლეგიტიმაცია დღესაც ძალაშია. სანამ ქართული პოლიტიკური სპექტრი არ აღიარებს ამას, ქვეყანას გადარჩენა არ უწერია.**

**მივმართავ ყველა პოლიტიკურ პარტიას, ეროვნულ ძალას, მოვაწეროთ ხელი დეკლარაციაზე და ვაღიაროთ 1990 წლის საყოველთაო, სახალხო, სამართლიანი გზით მოსული ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების ლეგიტიმურობა, კანონიერება და უწყვეტობა. მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია დავინახოთ გადარჩენის გზა, სხვა ლაპარაკი არის ლაი-ლაი. სანამ სათავე არ გაიწმინდება, ერის რეაბილიტაცია ვერ მოხერხდება,** — განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

ლეიბორისტული პარტიის ლიდერის თქმით, ახალი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, პარლამენტის პირველი სხდომაც გამსახურდიასდროინდელმა უზენაესმა საბჭოს წარმომადგენლებმა უნდა გახსნან. მათვე უნდა შეითავსონ ცესკოს ფუნქცია, რათა არჩევნები არ გაყალბდეს და შედეგები სამართლიანი იყოს.

პრესკონფერენციას ესწრებოდნენ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების წარმომადგენლები, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობას წევრები და თავადაზნაურთა საკრებულოს ხელმძღვანელი ია მუხრანელ-ბაგრატიონი. ამ იდეის გამო შალვა ნათელაშვილს მათ მადლობა გადაუხადეს.

**გულნაზ გახარია**

ვითარება

# „წყნეთური ინოვაცია" — რვეულიდან ამოხეულ ფურცლებზე „გამოწერილი" ქვითრები

**21-ე საუკუნის სინათლის ქალაქში დენის ქვითრებს მათემატიკის რვეულის უჯრედებიან ფურცელზე წერენ და აბონენტებს ისე ურიგებენ. ამ სასაცილო „ქვითრების" არსებობა უტყუარი ფაქტია, მაგრამ კომუნალურ სფეროში ამგვარი შემოქმედებითი უნარი ვინ გამოიჩინა, გასარკვევი მხოლოდ ეს არის. ყველა კომპანია თუ სამოხელეო უწყება „წყნეთურ ინოვაციასთან" კავშირს კატეგორიულად უარყოფს.**

წყნეთში მცხოვრებ დევნილებს, რომელთაც ელექტროენერგიისა და დასუფთავების გადასახადს გამრიცხველიანების გარეშე ახდევინებენ, რვეულის ფურცელზე დაწერილი „ქვითრები" მიუვიდათ. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" წყნეთში მცხოვრებმა დევნილებმა თავად აცნობეს. მათი თქმით, დევნილებს ჰპირდებოდნენ, რომ გამრიცხველიანებამდე შეუნარჩუნდებოდათ ელექტროენერგიის შეღავათები. გამრიცხველიანების პროცესი კი, დღემდე არ არის დაწყებული.

დევნილები ამბობენ, რომ 1-ლი იანვრიდან დღემდე, საერთო მრიცხველებზე ძალიან მაღალი დავალიანებები დაუგროვდათ და ამას ემატება დასუფთავების გადასახადიც მიუხედავად იმისა, რომ არსად, სადაც გამრიცხველიანება არ არის, ელექტროენერგიის გადასახადზე დასუფთავების გადასახადი არ არის მიბმული.

„ჩვენ ვიცოდით, რომ ბინების დაკანონების შემდეგ, ელექტროენერგიის შეღავათები მოგვეხსნებოდა, თუმცა ამასობაში გამრიცხველიანება უნდა მომხდარიყო და გვეცოდინებოდა, რას ვიხდით და ვის ვუხდით. ახლა კი დევნილების ნაწილმა მიიღო ზეპირსიტყვიერი გაფრთხილება, რომ გადაინაწილონ, ძველი, საბჭოთა მრიცხველებით დაწერილი თანხები, რომელთა უმეტესობა მწყობრიდან არის გამოსული. ზოგს კი დაურიგდა რვეულის ფურცელზე დაწერილი ე.წ. ქვითრები, სადაც ელექტროენერგიაზე დამატებულია ნაგვის გადასახადიც და იქვე მითითებულია ანგარიშის ნომერი", - აცხადებენ დევნილები და დასძენენ, რომ ეს სრულიად ეწინააღმდეგება იმას, რასაც ყოველდღიურად პრეზიდენტისა და ხელისუფლების წარმომადგენლებისგან ისმენენ.

დევნილები ითხოვენ იურიდიულ დადასტურებას, რომ კონკრეტულმა პიროვნებებმა ეს თანხები მართლაც უნდა გადაიხადონ და თანხა, კონკრეტულ ადრესატამდე მივა და არა „ვილაცის" ანგარიშზე დაჯდება. „რატომ უნდა დავიჯეროთ, რომ მითითებული ანგარიშის ნომერი რომელიმე პიროვნებას ან პარტიას არ ეკუთვნის?" — ამბობენ დევნილები. ისინი არ გამორიცხავენ, რომ მათი საცხოვრებელი კორპუსების გამრიცხველიანებულთა სიაში მოხვედრა გაუგებრობის ბრალი იყოს და ხელისუფლებას საკითხის დროულად გარკვევას სთხოვენ.

დიდგორის რაიონის გამგეობა წყნეთში ჩასახლებული დევნილებისთვის რვეულის ფურცელზე დაწერილი ელექტროენერგიის ე.წ. ქვითრების დარიგებას გამორიცხავს. როგორც რაიონის გამგეობის პრესსამსახურის უფროსმა ნათია მსხილაძემ განაცხადა, სიმართლეს არ შეესაბამება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ წყნეთში ჩასახლებულ დევნილებს მოხმარებული ელექტორენერგიისა და ნაგვის ნარჩენების გადასახადი რვეულის ფურცელზე დაწერილი მიუვიდათ.

„ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება, ვინაიდან წყნეთში ჩასახლებულ დევნილებს საერთო მრიცხველი აქვთ და საერთო ქვითრით სარგებლობენ", — აღნიშნა ნათია მსხილაძემ.

„ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება" ცოტა ხმამაღალი განაცხადია, რადგან დევნილებმა ე.წ. ქვითრები წარმოადგინეს და მისი ფოტოსურათები ინტერნეტის მეშვეობითაც გავრცელდა. ასე რომ, წყნეთში მათემატიკის რვეულის წითელხაზიან ფურცელზე ჩამოწერილი დენის გადასახადის ჩამორიგების ფაქტი, სიმართლეს სრულად შეესაბამება. თუკი დიდგორელ მოხელეებს უნდოდათ ეთქვათ, რომ ეს „ქვითრები" ფარატინა ქაღალდია (პრინციპში ასეც არისძ და მოსახლეობამ ყურადღება არ მიაქციოსო, ეს სხვა საკითხია.

„ფურცლოვანი ქვითრების" თაობაზე ინფორმაციას კომპანია „თელასშიც" უარყოფენ. კომპანიის პრესსამსახურის ხელმძღვანელის ვალერი ფანცულაიას განცხადებით, წყნეთში ჩასახლებულ დევნილებს მოხმარებულ ელექტროენერგიაზე გადასახადი საერთო ქვითრით მისდით, რადგან დევნილებს საერთო მრიცხველი აქვთ. „ჩვენგან ინდივიდუალური და თანაც რვეულის ფურცელზე დაწერილი ქვითარი დევნილებს ვერ მიუვათ, ვინაიდან მათ საერთო მრიცხველი აქვთ", — განაცხადა ვალერი ფანცულაიამ.

**გიორგი ბექაური**
Presage.tv

ინფორმაცია

## ბიძინა ივანიშვილი რუსეთში არსებულ თავის ქონებას მაისის ბოლომდე გაყიდის

**ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, მას რუსეთთან საერთო არაფერი ექნება.**

**ამის შესახებ ჟურნალისტებს კოალიცია „ქართული ოცნების" ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა ლიბერალური ინტერნაციონალის წევრი ქვეყნების წარმომადგენლებთან არაოფიციალური შეხვედრის შემდეგ განუცხადა.**

**„ვიცოდი, რომ ბანკი უკვე იყიდებოდა და მე ვადასტურებ ამ ინფორმაციას. თქვენ სულ მალე გაიგებთ ჩემს ქონებაზე რუსეთში, რომ მაისის ბოლომდე ყველაფერი გაიყიდება. მერე იქნება საინტერესო, რაზე ისაუბრებენ „რუსთავი 2" და „იმედი" და „პირველი არხი"? მერე რაღას მოაბამენ კუდს, რომ როდესაც აღარ მექნება რუსეთთან აღარანაირი კავშირი. აი, ამ კითხვებისთვის მოემზადეთ თქვენ წინასწარ, კარგი იქნება რომ რეპეტიცია გაიაროთ", — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.**

**რუსული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ბიძინა ივანიშვილმა ბანკი „რუსული კრედიტი" კერძო პირთა ჯგუფს 352 მილიონ აშშ დოლარად მიჰყიდა. ივანიშვილის დეველოპერულმა კომპანია „უნიკორმა" კერძო ინვესტორებთან შესაბამის შეთანხმებასაც მოაწერა ხელი.**

**მყიდველებს შორის არიან: აი-ტი კომპანიის პრეზიდენტი გეორგი გენსი, ბანკ „გლობეკსის" ყოფილი მესაკუთრე ანატოლი მოტილევი, სადაზღვევო კომპანიის „სპასსკიე კორიტას" ექს-მფლობელი ბორის ჰაიტი, ასევე კერძო პირები: ბორის პასტუხოვი, ვიკტორ ლუკიანოვი, ვლადიმერ ფაეროვიჩი.**

**როგორ გადანაწილდა მყიდველებს შორის აქციები, ამის თაობაზე ინფორმაცია არ ვრცელდება.**

**ინტერპრესნიუსი**

SIC!

# ქუთაისის პარლამენტის შენობაში ნაციონალი დეპუტატები „ჩაფხუტებით" შევლენ

**რამაზ ნიკოლაიშვილს ინფარქტი რომ არ დაემართოს და ბევრმა ადამიანმა საკუთარი თავით რომ არ ზღოს, 26 მაისს ქუთაისში პარლამენტის საზეიმო სხდომა უნდა ჩატარდეს. ასეთია მიხეილ სააკაშვილის გაფრთხილება რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრისადმი.**

უკვე ცნობილია, რომ საპარლამენტო რეგლამენტში სპეციალურ ცვლილებას ამზადებენ, რათა 26 მაისის საპარლამენტო სხდომა ქუთაისში საზეიმო ვითარებაში ჩატარდეს. რამდენად მორალურია პარლამენტის სხდომის საზეიმო განწყობით ჩატარება და ექნებათ კი დამხვდურ ქუთათურებს საზეიმოდ საქმე, როცა ყველას ახსოვს, რომ თავის დროზე, ამ გაუგებარი კონსტრუქციის საძირკვლის ჩაყრამდე, ქუთაისში გმირთა მემორიალის აფეთქებას ორი ადგილობრივი პირის — დედა-შვილის (ეკა ცუცხვაშვილისა და ნინო ჯინჭარაძისძ სიცოცხლე ემსხვერპლა. თუმცა, ეს მორალური ტვირთი, ალბათ, ნაციონალურ განწყობაზე არ იმოქმედებს.

რადგან პარტია მოითხოვს, ნაციონალი დეპუტატებიც უშიშრად შეაბიჯებენ დაუმთავრებელ ნაგებობაში და არად დაგიდევენ სამშენებლო სტანდარტებს, რომლის თანახმადაც, მსგავს შენობებში შესვლა აკრძალულია. იმედია, „ცისფერი მთების ანუ ტიანშანის" ფინალივით არ დასრულდება მათი საზეიმო თავყრილობა...

რაც შეეხება ოპოზიციონერ დეპუტატებს, ისინი სულაც არ აპირებენ სახელისუფლო პიარკამპანიის აქტიორებად გადაიქცნენ და ამ მოტივით უარს აცხადებენ სააკაშვილის წინასაარჩევნო პიარისთვის გამიზნულ თამაშში მონაწილეობაზე. ასეა თუ ისე, ნაციონალები ტრიუმფალურად შეაბიჯებენ საქართველოს ყოფილ დედაქალაქში.

„თავისუფალი დემოკრატების" წევრი გია ცაგარეიშვილი Presage.tv-სთან საუბარში აცხადებს, რომ მათთვის არც ამ შენობის მშენებლობა უკითხავს ვინმეს, არც პარლამენტის ქუთაისში გადატანის საკითხი გამხდარა, ფართო გაგებით, საერთო სახალხო განხილვის საგანი, ხოლო ის „საერთო სახალხო განხილვები", რომელსაც აწარმოებს ხოლმე ხელისუფლება, ფორმალურია და ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს.

ცაგარეიშვილის თქმით, მას შემდეგ, რაც ეს იდეა გაჟღერდა, რამდენჯერმე შეიცვალა საქართველოს კონსტიტუცია. მასში ჩაეწერა, რომ საქართველოს პარლამენტის სხდომები მომავალში ჩატარდება თბილისსა და ქუთაისში, შემდეგ იგივე მუხლი შეიცვალა და ჩაეწერა, რომ ჩატარდება მხოლოდ ქუთაისში, მოგვიანებით კი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი ისევ შეიცვალა და იქ ჩაიწერა, რომ საქართველოს პარლამენტის ადგილმდებარეობა არის თბილისი, რუსთველის №8 და, ასევე, - ქუთაისის საპარლამენტო სასახლე. მოკლედ, ცაგარეიშვილის აზრით, პარლამენტის ადგილმდებარეობის საკითხი, კანონმდებლობის თვალსაზრისითაც, მრავალტანჯულ მოვლენად გადაიქცა და ერთი ადამიანის ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას დაექვემდებარა.

„როდესაც გვეკითხებიან, რატომ არის ავტოკრატიული ჩვენი ქვეყანა, სწორედ ამიტომ არის, რომ საპარლამენტო რეზიდენციის გადატანის საკითხზე ადამიანები მსჯელობენ მხოლოდ მიხეილ სააკაშვილის პერსონალურ კაბინეტში და არავინ შეკითხვია აზრს იმერლებს, კახელებს, ქართლელებს... ეს, სულ მცირე, სარეფერენდუმო საკითხია, უნდა გამოტანილიყო საერთო სახალხო რეფერენდუმზე და ქართველ ხალხს გადაეწყვიტა, სად ერჩივნათ საქართველოს საპარლამენტო დედაქალაქის დაარსება. კიდევ ერთი არგუმენტი, რის გამოც არ გვსურს ქუთაისში საზეიმო სხდომაზე დასწრება, ისაა, რომ მთელი ამ წლების მანძილზე, რაც იქ მშენებლობა მიმდინარეობს (და მშენებლობა მიდის უკვე ორი წელიაძ, ვერ დავადგინეთ, რამდენი იხარჯება ამ მშენებლობაზე, ვინ არიან მხარჯველი უწყებები, ვინ არის შემსრულებელი, დიზაინერ-არქიტექტორი, ქართველია თუ უცხოელი?! არ არის გამორიცხული, მშენებლობაზე პრობაციონრები იყვნენ დასაქმებულნი, ისევე, როგორც ძველად გერმანელ ტყვეებს ამუშავებდნენ, დიდი სამამულო ომის დროს".

გია ცაგარეიშვილის თქმით, ქუთაისში ყოფნისას მან რამდენჯერმე ჩაუარა პარლამენტის მშენებლობის ადგილს და დარწმუნდა, რომ იქ ოთხ ცვლაში მიმდინარეობს მუშაობა, 24-საათიან რეჟიმში, დაჩქარებული ტემპით და ასეთი სიჩქარე რით დასრულდება, კაცმა არ იცის.

ამასთან, ოპოზიციონერი დეპუტატი პარლამენტისთვის შერჩეული ადგილმდებარეობის პრობლემატურობაზეც ამახვილებს ყურადღებას, რადგან საკმაოდ რთული რელიეფი, ჭაობიანი ადგილია, სადაც დიდი ტენიანობა და გრუნტის წყლებია.

„არ ვიცი, სააკაშვილის ხელში ამის შესწავლა როდის მოხდებოდა, არავის გამოუქვეყნებია ამ მშენებლობაზე გასაცემი ნებართვა არის თუ არა შესაბამისობაში მოყვანილი ჩვენს კანონმდებლობასთან. თქვენ იცით, რა ტრაგიკული დასაწყისი ჰქონდა ამ მშენებლობას, აფეთქეს მემორიალი, რაც, ჩემი აზრით, ვანდალიზმი იყო და ამით შეურაცხყვეს მეორე მსოფლიო ომში გარდაცვლილი ჩვენი ქართველი გმირები. ნანგრევებში მოჰყვა ერთი ოჯახი, დედა და შვილი, რომლებიც ტრაგიკულად დაიღუპნენ. ასეთი სისხლიანი დასაწყისი ჰქონდა ამ ყველაფერს. საღად მოაზროვნე ადამიანი ამ მშენებლობას სასწრაფოდ შეწყვეტდა და მოშორდებოდა ამ ადგილს, მაგრამ, ამ შემთხვევაში, მიხეილ სააკაშვილის იმპერატიულ გადაწყვეტილებას აქვს მნიშვნელობა".

იხ. 4 გვ.

ცხელ გულზე

# თვითონ — ილია, ჩვენ კი — ფაშისტები?!

**რა დაგვრჩა ილიოზის მოსურნე „ვარდოსანთა“ გამოისობით ამ დიდი ქართველის გულ-გონების ნაყური ტრიადიდან, „ვარდობამდელ“ ქართველებს სამოქმედო ორიენტირად რომ მიგვაჩნდა?**

**რა და, მიუკიბ-მოუკიბავად ვიტყვი. მამული — დამცრობილი, ენა — დამცირებული, სარწმუნოება — დაცინული.**

**ვაჭარბებ და ფერებსაც განგებ ვამუქებ? ნეტამც, ასე იყოს!**

თავადაც ხომ ამბობენ, რომ ისედაც შაგრენის ტყავს დამსგავსებული ჩვენი **მამული** ოცი პროცენტით დაპატარავდა?

ის კი არა, მათ ხელში ისიც „მოვახერხეთ“, რომ უამრავი მტრისგან მრავალგზის აოხრებული საქართველოს ის პატარა მონაკვეთიც დავკარგეთ, არც ერთ მომხდურს არასოდეს რომ არ დაუპყრია — კოდორის ხეობა!

**ენა** რომ დამცირებულიც არის და ჩაწიხლულ-ფეხქვეშ გაგდებულიც, ვგონებ, არც ამას სჭირდება ბევრი ფიციმტკიცი!

სხვა რამეებზე რომ არაფერი ვთქვათ, საპატრიარქოს სიახლოვეს კაზინოს რომ გახსნი, ხოლო საპატრიარქოსა და სამების ტაძარს შუა — ბუდაბარს, **სარწმუნოების** ამაზე მეტი დაცინვა და აბუჩად აგდება შეიძლება?

ჭეშმარიტი მართლმადიდებლებისთვის ყოვლად მიუღებელ იმ კანონზე არაფერს ვიტყვი, თვით უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის თხოვნა-მოწოდების მიუხედავად, მართლაც „ფართი-ფურთით“, როგორც ყვარელში გამოსვლისას ილია ჭავჭავაძეს დაესესხა ახლა უკვე ილიოზის მოსურნე პრეზიდენტი, ლამის ერთხმად მიიღო ამჟამინდელმა საპარლამენტო **უარესობამ!**

დიახ, უარესობამ, და არა — უმრავლესობამ! კორექტურა არვის ეგონოს!

თუმცა უმჯობესია, ახლა მთავარ სათქმელზე გადავიდეთ, რომლის გამოც ორიოდ სიტყვის თქმა უკვე ილიოზის მოსურნე პრეზიდენტის (როგორი დავით აღმაშენებელიც გვყავს საქართველოს ყველა დროის უდიდესი მეფის საფლავზე ორგზის ფიცდადებული მიხეილ სააკაშვილის სახით, კარგად ვნახეთ!ძ ყვარელში გამოსვლამ გადამაწყვეტინა.

**— ის, რასაც ახლა ვაკეთებთ** (კომპიუტერის გამავრცელებელი საზოგადოების შექმნას გულისხმობდაძ, **იგივეა, რაც თავის დროზე ილია ჭავჭავაძემ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შექმნით ქმნაო,** — წარბშეუხრელად თქვა ამ მართლაც დიდი ქართველის ოდაბადეზში გამოსვლისას მიხეილ სააკაშვილმა.

— მთელი საქართველო „ვაი ფაით“ უნდა დავფაროთო! — ესეც დასძინა.

კომპიუტერიზაცია-ინტერნეტიზაცია უბრალოდ კარგი და საჭირო კი არა, აუცილებელიც რომ არის, ამაზე ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ ის ქართული ანდაზა არ გახსოვთ, „თქმა იოლია, ქმნა — ძნელიო?“

არც ის გსმენიათ, ქონა შეძლებაზე ჰკიდიაო?

რატომ ვამბობ, იცით? **კომპიუტერების შეძენის და ინტერნეტის ხაზის ჯერ გაყვანის, შემდეგ კი მისი მომსახურებისთვის გადასახდელი თანხა კი არა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, პურის საყიდელი ფული რომ უჭირს ხალხს, არ იცით?**

**სოფლები რომ იცლება და ლამის ნახევარი საქართველოს სადიაცეთი (მამაკაცებზე არაფერს ვამბობ) თურქეთში, საბერძნეთსა თუ სხვა ქვეყნებშია გადახვეწილი და იქ მონური შრომისთვის განწირული, რათა ამ ტანჯვა-ვაებით ნაშოვნი ფულით აქ დარჩენილი ოჯახის წევრები როგორმე შიმშილისა და უკიდურესი გაჭირვებისგან იხსნან, არ იცით?**

**იცით, ძალიან კარგადაც იცით, მაგრამ, რაკი თქვენს პოლიტიკას ასე სჭირდება, „ნე ვიჟუს“ აკეთებთ და ილფ-პეტროვისეული „ნოვიე ვასიუკების“, გნებავთ, პოტიომკინის სოფლების შენებას და მერე გასეთურებული ჯიბის ტელევიზიებით ხალხის დაბოლებას განაგრძობთ (ისე, სხვათა შორის, უნდა გითხრათ, რომ არ არსებობს კვამლი, ნისლი თუ ჟანგი, ოდესმე რომ არ გაიფანტოს)!**

...კომპიუტერის გავრცელების საზოგადოებაო!



ამან, ჩვენი გაჭირვებულ-გაძაღლებული ყოფის შემყურეს, ერთი ძველი ანეკდოტი გამახსენა:

**მაროს მაღაზიაში ჩექმები მოეწონა.**

**— ფეხი არ ჩაგივაო! — წყალი გადაუწურა მიხომ.**

**— ვინ გითხრაო? — გაიკვირვა მარომ.**

**— ჩემმა ჯიბემაო.**

**ჰოდა, სწორედ ჩვენი ჯიბე გვეუბნება, — ვერაო, პურის საყიდლად ვერ გყოფნით და კომპიუტერ-ინტერნეტს როგორღა გავწვდებიო?**

თუმცა ამაზე მეტი არ დაუხეთქებიათ?

ამიტომაც ერთ კითხვასღა დავსვამ, რომელიც რატომღაც მაშინვე ამეკვიატა, როგორც კი პრეზიდენტმა თავისი უსაძირკვლო (ხალხის უფულობის გათვალისწინებით ვამბობ, ცხადიაძ „ინოვაცია“ ილია ჭავჭავაძის მიერ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებას შეადარა (ისე, საინტერესოა, როგორ ჰგონიათ ვარდოსნებს, ილია ჭავჭავაძის მიერ დაარსებული ამ საზოგადოების მომსახურებით სარგებლობისთვის ხალხს ფულს ახდევინებდნენ ჩვენი დღევანდელობისგან განსხვავებით, როცა სათაგურის ყველიც კი ფასიანია?ძ.

**აი, ეს კითხვაც:**

**უფალო პრეზიდენტო, რაკი ილიას გზით სიარულს ჩემულობთ, ხომ ვერ გვეტყვით, კონკრეტულად რატომ და რისთვის დააარსა ილია ჭავჭავაძემ კიდევ ერთი ძალიან საჭირო დაწესებულება — საადგილმამულო ბანკი?**

და ბოლოს, ერთი ფრთიანი ფრაზის ანალოგია-პერიფრაზირებით ვიტყვი — **ის, რაც მე** (ამაში მარტო ჩემს პიროვნებას კი არა, ზოგადად უბრალო მოკვდავებს, რიგით მოქალაქეებს ვგულისხმობძ **მეპატიება, თქვენ არ გეპატიებათ, ბატონო პრეზიდენტო!**

თქვენ, პრეზიდენტი, ქვეყნის უპირველესი ხელმძღვანელი, მისი სახე ხართ და, ამიტომაც, არ გეპატიებათ, არ მომერიდება ამის თქმა, დაუფიქრებელი, ზოგჯერ მთელი ქვეყნის თუ ცალკეული მოქალაქეების შეურაცხმყოფელი გამოთქმები!

კერძოდ, გაზეთებს რომ სახალხოდ ფაშისტურ თუ ულტრაფაშისტურ გამოცემებად მონათლავთ, ეს გეკადრებათ?

**ისე კი, ჩვენში დარჩეს და, როგორი მეორე ილიაც თქვენ ბრძანდებით (ჭავაჭვაძე), იმნაირივე ფაშისტები ვართ ჩვენც — ჟურნალისტებიც!**

**რუსლან რუსია**

# კიდევ ერთი „ნულოვანი ტოლერანტობა“

**„ჩვენ მოვდივართ იქიდან, სადაც ჩემი წინამორბედი ყოველ დილას იწყებდა „საქართველოს რესპუბლიკის“ და „ლიტერატურული საქართველოს“ კითხვით — ორი ულტრაფაშისტური გამოცემით საქართველოში. ასეთ ქვეყანაში ვცხოვრობდით ჩვენ. ამიტომ მთავარი გარანტი იმისა, რომ ასეთი რამ აღარასოდეს დაბრუნდება უკან, არის განათლება, განათლება და განათლება და კიდევ განათლება!“** — ბრძანა მიხეილ სააკაშვილმა ყვარელში ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში სიტყვით გამოსვლისას.

არა, მარტო ეს არ უთქვამს. სხვაც ბევრი ილაპარაკა და საქართველოს მოსახლეობა კიდევ ერთხელ აცინა.

მოვუსმინე და მეც კარგა გულიანად გამეცინა. სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ შესაბამისი სტატუსიც დავდე, სხვაგვარად რეაგირებას არც ვაპირებდი, რადგანაც იმის მოყოლა, თუ რა ისტორია აქვს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“, რა დონის პროფესიონალები მუშაობდნენ და დღესაც მუშაობენ ამ რედაქციაში (სამწუხაროდ, „ლიტერატურული საქართველო“ უკვე თითქმის ორი წელია ველარ გამოდისძ, აზრი არა აქვს. აზრი არა აქვს ორი მიზეზის გამო.

**პირველი** მიზეზი ის არის, რომ „პასუხის“ ისეთი ფორმით დაწერა, თავის მართლებაში ჩაგვეთვლება. თავს კი ისინი იმართლებენ, ვინც რამე დააშავა. **მეორე** მიზეზი კი ისაა, რომ ვერც ბატონ პრეზიდენტს და ვერც მის „პარტაიგენოსებს“ უკვე ველარაფერს დავუმტკიცებთ. ველარ დავუმტკიცებთ, რომ ისინი წარსულიდან კი არ მოდიან, ისინი იმ ვირტუალური სამყაროს შვილები არიან, რომელსაც თავადვე ქმნიან მდარე ხარისხის ფანტასტიკური ჟანრის ფილმების ნახვის შემდეგ.

**„დღეს რომ იაკობ გოგებაშვილი იყოს, აბა გამოიცანით „ასავალ-დასავალი“ ყოველ კვირას რას დაწერდა ამ კაცზე და რას დაწერდა ილია ჭავჭავაძეზე. ან „ალია“ ან ათასგვარი სხვა მოფაშისტო ელემენტები და გაზეთები შეჭამდნენ, გადაღეჭავდნენ შუაზე, იმიტომ რომ ისინი ქადაგებდნენ ზუსტად იმას, რასაც ილია უწოდებდა „უმეცრების ფართიფურთს“.**

ესეც სააკაშვილის „მარგალიტია“ (სამწუხაროდ არა „ობოლი“ძ, იმ სააკაშვილისა, რომელიც მუხლჩაუხრელად ებრძვის საქართველოს ისტორიას იმ პრეზიდენტისა, რომელმაც ბათუმში ილია ჭავჭავაძის ძეგლი „მოფარებულში“ გადაატანინა, სკოლებიდან იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ ამოაღებინა და თავზე დასკორებული თხუნელას „ტრაგიკული თავგადასავალი“ შეაჩეჩა ბავშვებს, იმ სააკაშვილისა, რომელმაც ფაშიზმთან ბრძოლაში დაღუპულ 350000 ქართველის სადიდებელი მემორიალი ფარულად ააფეთქა და გმირი იუნკრების საფლავებზე ოსმალი სულთანის სახელობის მეჩეთს აშენებს.

იმ სააკაშვილისა, რომელიც... რომელიც... რომელიც... ისე უხვად აკეთებს „საგმირო საქმეებს“, რომ მართლაც ზუსტად შეეფერება ილია ჭავჭავაძის ფრაზა „უმეცრების ფართიფურთი“.

სწორედ ამ ყველაფრის გამო არ ვაპირებდი არამც და არამც სერიოზული, სულ უბრალო რეპლიკის დაწერასაც, მაგრამ მცირე დაფიქრების შემდეგ ძალიან ცუდი მესიჯი ამოვიკითხე ამ სიტყვებში.

მან ფაქტობრივად პრესის, ნამდვილი ჟურნალისტიკის და თავისუფალი სიტყვის წინააღმდეგ ტერორი და ნულოვანი ტოლერანტობა გამოაცხადა.

გამოაცხადა ზუსტად ისე, როგორც მაშინ, პარლამენტის სხდომაზე და რასაც 150-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. დიახ, სააკაშვილმა 10 მაისს, ყვარელში ქართული ბეჭდური საქმის დამაარსებლის, წმინდა ილია მართლის სახლ-მუზეუმში ტერორი და ნულოვანი ტოლერანტობა გამოუცხადა სიმართლეს, ბეჭდურ მედიას. ტერორი და ნულოვანი ტოლერანტობა გამოუცხადა ადამიანის მთავარ უფლებას — მიიღოს ჭეშმარიტი ინფორმაცია.

მეტი რა უნდათ იმ ე. წ. ტელეკომპანიებს, სადაც „ახალი ამბები კეთდება“ (უფრო სწორად რომ ვთქვა, დავესესხები თიკო თვალაძეს, რომელმაც ფეისბუქზე „რუსთავი-2“-ის ლოგოს სტატუსად წააწერა „ახალი ამბები ითითხნება აქ“ძ, მეტი რა უნდა „ტრიბუნას“ თუ „ფოლკიეში ბეობახტერის“ მსგავს გამოცემებს? სადაც აგრესიული ლიბერასტებს ფართოდ აქვთ გახსნილი კარი. მეტი რა უნდათ თბილისის მერიისა თუ რაიონული მუნიციპალიტეტების შესაბამის სამსახურებს?

სააკაშვილმა „მწვანე“ აუნთო.

მართალი რომ ვთქვათ, არც აქამდე აკლებდნენ ხელს ქართული რეალობის დამახინჯებას თავისუფალი სიტყვის გავრცელების შიშით ზემოთ ჩამოთვლილი ზონდერები, მაგრამ ახლა ხომ მთლად გაეხსნებათ ხელ-ფეხი.

გაეხსნებათ და აქამდე ერთ-ერთი ავტორიტარული ორგანიზაციის „ფრიდომ ჰაუსის“ კვლევების მიხედვით, რომელმაც საქართველოში თავისუფალი სიტყვის გავრცელება „ნაწილობრივ თავისუფლად“ შეაფასა, არჩევნების წინ „აბსოლუტურად შეზღუდულად“ შეფასდება.

კიდევ უამრავი რამის დაწერა შემეძლო, მაგრამ არ ღირს, არ ღირს, თუნდაც იმიტომ, რომ არ მწყენია.

და თუ რატომ არ მწყენია, ეგ რომ თქვა, მაშინ სხვებს ეწყინებათ (დათა თუთაშხიას ფრაზაძ. ამიტომ სჯობს ისევ ვუყურო, ვუსმინო და ბევრი ვიცინო.

**პატივისცემით**

**შტანდარტენფიურერი**

**გია ფონ გაბრიჭიძე**

თვალსაზრისი

# მარჯნის რიფზე გარიყული

**რაში სჭირდება ივანიშვილს ბურჯანაძესთან დაპირისპირება? გასაგებია, რომ არც მას და არც მის მომხრე პოლიტიკურ ლიდერებს ბურჯანაძესთან ერთ კიდობანში არსებობა არ გამოუვათ. ბურჯანაძე იმდენად მნიშვნელოვანი და ქარიზმული პოლიტიკური ფიგურაა, რომ მას აუცილებლად სჭირდება ცალკე საცურაო საშუალება ან საერთოდ — ცალკე საცურაო აუზი. და ამაში ცუდი არაფერია, თუ სწორად აღმოაჩენს საკუთარ პოლიტიკურ სივრცეს და ისტორიულ დანიშნულებას. როგორც ჩანს, ივანიშვილს ეს კარგად ესმის და იგი მზად არის, „დაუთმოს" ბურჯანაძეს პოლიტიკური ბაზრის გარკვეული ნაწილი, მით უმეტეს ის ნაწილი, რომლის კონტროლს ის ვერანაირად ვერ შეძლებს. ტოტალიტარული კონცეფცია „ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მტერია", რომელსაც მას ზოგიერთი მისი მრჩეველი სთავაზობს, სახიფათოა საქართველოს საზოგადოებისათვის. ლოზუნგი „ყველა სააკაშვილის წინააღმდეგ" ინსტიტუციონალურად ვერ გააერთიანებს ოპოზიციას და ეს არც არის საჭირო. არსებობს თანამშრომლობის სხვა საშუალებები.**

### პოლიტიკური არითმეტიკის საფუძველი

თუ „1 +1=2", ამ შემთხვევაში მხოლოდ მექანიკურ გაერთიანებაზეა საუბარი. ეს ნიშანია იმის, რომ პოლიტიკური თანამშრომლობა ორიენტირებულია რაოდენობაზე, მასაზე და ურთიერთობის ხარისხობრივი პარამეტრი ნაკლებ როლს ასრულებს. ეს პრიმიტიული, „ორუჯრედიანი" დუალისტური პოლიტიკური კულტურის მაჩვენებელი ფორმულაა.

თუ „1+1<2" ეს ნიშნავს, რომ ურთიერთობა დესტრუქციული ხასიათისაა. ეს მაჩვენებელია პოლიტიკური კულტურის დაბალი დონის, რომელიც დუალიზმიდან მიექანება მონიზმში. ეს, ასევე, დესტრუქციული კონკურენციის, ამპარტავნების და, შესაბამისად, თავმდაბლობის დეფიციტის მაჩვენებელია.

და თუ „1+1>2" ეს ნიშნავს იმას, რომ თანამშრომლობა ორიენტირებულია პოზიტიურ შედეგზე. ეს ფორმულა უნდა იყოს გამოყენებული არა მხოლოდ „ივანიშვილი-ბურჯანაძის" ურთიერთობის კონტექსტში, არამედ სააკაშვილის პოლიტიკურ რეჟიმთანაც კი. ასეთი სტილით ურთიერთობის კულტურა პირველ რიგში გვაძლევს „ტრიალიზმს" — ეს პოლიტიკური კულტურის განვითარების ახალი დონეა, რომელიც მიმართულია პლურალიზმისკენ.

### ეროვნული უსაფრთხოების კონტექსტი

არსებობს მთელი რიგი საკითხებისა, რომლის გარშემო უნდა მიმდინარეობდეს ინტერპარტიული დისკუსია. ამას მოითხოვს ეროვნული უსაფრთხოება.

ამის ალტერნატივა კი — ორიენტაციაა სამოქალაქო დაპირისპირებაზე და შესაძლებელია, სამოქალაქო ომზეც. იმ პირობებში, როდესაც რუსეთის ფედერაციის და სხვა მეზობლების პოლიტიკურ ელიტებში



მიმდინარეობს აქტიური დისკუსია, თუ როგორი შესაძლებლობებია საქართველოს დანაწევრიანების, ასეთი დესტრუქციული განწყობით მოქმედება ეროვნული სუიციდის ტოლფასია.

საქართველოს პოლიტიკური სისტემა უნდა იყოს მორგებული იმისთვის, რომ ღირსეულად დაიცვას თავი შესაძლო საფრთხეებისგან. საქართველოს ერთიანობას არ დაიცავს არც ერთი გარე პოლიტიკური აქტორი, თუ პოლიტიკური ელიტა არ შეასრულებს თავის ფუნდამენტურ მისიას, რასაც ამ ეტაპზე იგი არ აკეთებს.

პოლიტიკურ ამბიციებს და პოლიტიკურ სეპარატიზმსაც უნდა ჰქონდეს გარკვეული ჩარჩო.

### მესამე ცენტრის აუცილებლობა

ფაქტობრივად, დღის წესრიგშია მესამე პოლიტიკური ცენტრის არსებობის აუცილებლობა. ბურჯანაძე ვერ შეასრულებს სატელიტური ორგანიზაციის როლს. ის დისტანცირებულია ორივე პოლიტიკური ცენტრიდან, აქვს საკუთარი გრავიტაციული ძალა, რომლის გარშემოც შესაძლებელია აღმოჩნდნენ სხვადასხვა საინტერესო პოლიტიკური დაჯგუფებები და, გამომდინარე აქედან, მას უჩნდება შანსი, კიდევ ერთხელ გახდეს ქართული პოლიტიკური ტრიუმვირატის საკვანძო ფიგურა. მას, განსხვავებით სხვა პოლიტიკური ლიდერებისაგან, აქვს შესაბამისი ქარიზმა. მას აქვს პოლიტიკური ბრძოლის დიდი გამოცდილება, გამბედაობა და პოლიტიკური ნებისყოფა. გაკვალული აქვს გზა მსოფლიოს მთავარი გეოპოლიტიკური ცენტრებისაკენ.

მესამე ცენტრის შექმნა წარმოადგენს აუცილებელ პირობას საქართველოს უსაფრთხოების თვალსაზრისით. ეს ერთადერთი შესაძლებლობაა, რომ ჩვენ გავიდეთ იმ ნეობოლშევიკური პოლიტიკური აზროვნების პრინციპიდან, რომელიც გულისხმობს პოლიტიკური ოპონენტის სრულ განადგურებას. ეს ცოფიანი პოლიტიკის პრინციპი უნდა დაიგმოს, რადგან წარმოადგენს ფუნდამენტალურ ფსიქოლოგიურ საფრთხეს ჩვენი ქვეყნისათვის და აჩერებს განვითარების პროცესს. ან ჩვენ გავალთ პოლიტიკური განვითარების ახალ ორბიტაზე ან ჩვენ დავრჩებით ქრონიკული სამოქალაქო დაპირისპირების, თუ ომის პირობებში.

დღეს, ბურჯანაძის გარდა, ვერავინ ვერ შეძლებს ამ მისიის შესრულებას. ეს მისი ისტორიული როლია. ამას კარგად გაიგებს საქართველოს მოსახლეობა და კარგად გაიგებს და მიიღებს საერთაშორისო საზოგადოება.

### ახალი ტრიუმვირატი

საქართველოს პოლიტიკური სისტემის მოწესრიგებისთვის ტრიუმვირატის მოდელი საკმაოდ საინტერესოა. იგი ემთხვევა იმ პირობით გეოპოლიტიკურ სამკუთხედს, რომელშიც ჩვენ აღმოვჩნდით და, რომელშიც ჩვენ ვიძირებით — „ვაშინგტონი-ბრიუსელი-მოსკოვი". ამ სამივე პოლუსისთვის ნინო ბურჯანაძე მიუღებელი ფიგურა არ არის. უფრო მეტიც, იმ შემთხვევაში, თუ იგი შეძლებს პოლიტიკური გუნდის მოდერნიზაციას, მას აქვს რეალური პერსპექტივა, მიაღწიოს „გარე" ლეგიტიმურობის ახალ დონეს. ამისთვის საჭიროა, რომ თვითონაც შეიცვალოს. პოლიტიკურ არენაზე უნდა გამოჩნდეს ახალი ნინო ბურჯანაძე.

არსებობს აზრი, რომ ბურჯანაძეს არ აქვს საკმარისი მატერიალური რესურსი იმისათვის, რომ ღირსეული და ამავე დროს შედეგზე ორიენტირებული კონკურენცია გაუწიოს ივანიშვილს ან სააკაშვილს. პრიმიტიული საარჩევნო კამპანიის წარმოების თვალსაზრისით, შეიძლება ეს ასეც იყოს, მაგრამ არსებობს კრეატიული რესურსი, რომლის გამოყენების შემთხვევაში იგი შეძლებს ამ ისტორიული მისიის შესრულებას.

### ბურჯანაძის დილემა

ბურჯანაძის ქმედებებიდან და განცხადებებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ იგი არ არის დარწმუნებული საკუთარ ძალებში, იმაში, რომ მას ულირს მატერიალურად და პოლიტიკურად დიდ და აქტიურ პოლიტიკაში დაბრუნება და დაელოდება ორი დიდი ხომალდის შეჯახებას.

არის ერთი საინტერესო დეტალი. მისი ჩაძირვა პრაქტიკულად შეუძლებელია. დღეს ის არც აქტიური მოცურავეა და არც ფსკერზეა. ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ იგი გამორიყულია მარჯნის რიფზე, სადაც ჯერჯერობით კარგად გრძნობს თავს პოლიტიკური ასკეტიზმის პირობებში.

მაგრამ, ამ რიფზე მყოფი ქალბატონის მიმართ ორივე პოლიტიკურ ცენტრს აქვს საფუძვლიანი შიში. ამიტომ ისინი თავისი მძიმეწონიანი ხომალდებით ვერ ბედავენ მასთან მოახლოებას. რიფთან სერიოზულმა შეჯახებამ შეიძლება მათ საგრძნობი ზარალი მიაყენოს. ეს აგრესიული განწყობები შესაცვლელია. ერთმანეთის დაშინების და ტერორის პოლიტიკა უნდა დამთავრდეს.

ამ ეტაპზე არსებულ პირობებში, თუ ბურჯანაძე დატოვებს რიფს და ეცდება ღია ზღვაში გასვლას ძველი „შეიარაღებით" — მას გაანადგურებენ.

თუ ბურჯანაძე გაბედავს და დაიწყებს ახალ თამაშს — ის გაიმარჯვებს. და მასთან ერთად გაიმარჯვებს საქართველოც. ეს რთული გზაა და რთული მისიაა.

მაგრამ, როგორც ძველ ებრაულ ანდაზაშია — „თუ ჩვენ არა, მაშინ ვინ, და თუ დღეს არა — მაშინ როდის"?

**ალექსანდრე რუსეცკი,**
**ფსიქოლოგი, კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების ინსტიტუტის დირექტორი.**

SIC!

(მეორე გვერდიდან)

# ქუთაისის პარლამენტის შენობაში ნაციონალი დეპუტატები „ჩაფხუტებით" შევლენ



დეპუტატის თქმით, 26 მაისს ქუთაისში სხდომის გახსნა პიარაქციაა, რომელიც კარგად თავსებადია მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო ტექნოლოგიებთან. მისი აზრით, როგორც ჩანს, სააკაშვილს სურს, ქუთაისიდან გახსნას საარჩევნო კამპანია და ეს ყველაფერი პოლიტიკურ ტრიბუნად გადააქციოს, მიიღოს იქ სამხედრო აღლუმი. ამ ყველაფერში კი მონაწილეობას მიიღებენ სრულიად საქართველოს აგიტატორები, ნაცმოძრაობის წევრები.

„მესმის, რომ ერთგვარად, ეს არის პოპულარული იდეა ქუთაისლებს შორის. ამ რეგიონს ძალიან უჭირს, გამოუვალი მდგომარეობაა. წარმოშობით იქაური ვარ, სიგიჟემდე მიყვარს ეს მხარე, მაგრამ უზარმაზარ თანხებზე, დაახლოებით 150 მილიონ ლარზეა საუბარი. ეს რომ გამოყოფოდა იმერეთის, ქუთაისის განვითარებას, სოციალურ პროექტებს, ბევრად უკეთეს მდგომარეობაში იქნებოდა იმერეთი, ვიდრე ორი წლის წინ იყო. მაგრამ ყველაფერი მორგებულია იმაზე, აღსრულდეს სააკაშვილის იდეები და თვალებში ნაცარი შეაყარონ იმერლებს. მათ ეუბნებიან, ამ პროექტის დასრულების შემდეგ თითქოს დაიწყება იმერეთის ეკონომიკური აღორძინება. თუ ადამიანებს ამის სჯერათ, მე ვფიქრობ, ისინი მიამიტები ყოფილან".

ამასთან, გია ცაგარეიშვილი თავის ნაციონალ კოლეგებს ურჩევს, ქუთაისის პარლამენტის შენობაში შესაბამისი ჩაფხუტებით შევიდნენ, რადგან, შესაძლოა, ან აგური მოხვდეთ თავში, ან სინკარი ჩამოინგრეს.

„ნამდვილად არ ვისურვებდი ამას, მე არ ვარ სისხლისმსმელი მათსავით და ტრაგიკული შემთხვევისთვის არავის გავიმეტებ, მაგრამ უნდა მოუფრთხილდნენ თავიანთ ჯანმრთელობას. შენობის საზეიმო სხდომის გახსნისთვის ყველაფერს აკეთებენ. ამას არ სჭირდება არც კვორუმი, არც დეპუტატთა გარკვეული რაოდენობა, რაც ლეგიტიმურს გახდიდა ამა თუ იმ სხდომას. თუ ვინმე იმისთვის დამძრახავს, რომ სააკაშვილის პიარკამპანიის ნაწილად არ გადავიქეცი, ასეთ ადამიანს ნაკლებად მოეკითხება ჭკუა. ეს სხდომა მართლაც საზეიმო იქნება, მიხეილ სააკაშვილს ძალიან უყვარს სახურავზე სუფრების გაშლა. შემდეგ, როგორც ჩანს, ჩაფხუტებით აზრძანდებიან და ერთ კარგს მოულხენენ საქართველოს პარლამენტის აუშენებელი შენობის სახურავზე ჯავშანტექნიკის გრიალში", - აცხადებს გია ცაგარეიშვილი.

ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის" წევრი, ოპოზიციონერი დეპუტატი დიმიტრი ლორთქიფანიძე Presage.tv-სთან საუბარში საქართველოს პოლიტიკური დედაქალაქის ქუთაისში გადატანის მცდელობას მიუღებელად მიიჩნევს. მისი აზრით, 26 მაისს პარლამენტის სხდომის ჩატარება ყოვლად დაუშვებელია, რადგან შენობა დასრულებული არ არის.

„ვიცე-სპიკერმა მაჭავარიანმა ღიად განაცხადა, პარლამენტის შენობა არ არის დასრულებული, მაგრამ იქ სხდომის დარბაზი უკვე სრულდებაო. ეს დაახლოებით იგივეა, საცხოვრებლად ვარგისად რომ ცნოთ ბინა, რომლის ერთი ოთახი გარემონტებულია, მაგრამ ყველა დანარჩენი დაუმთავრებელია. ეს სამარცხვინო აქტია, ხინჯიან და ხარაჩოებიან შენობაში არ უნდა გაიმართოს მსგავსი ტიპის სახელმწიფო სხდომა".

დიმიტრი ლორთქიფანიძის თქმით, ნებისმიერი შენობის დასრულებას სპეციალური მიღება-ჩაბარების აქტის გამოცემა უნდა უძღოდეს, ექსპლუატაციაში უნდა იქნეს მიღებული შენობა და ვარგისიანად ჩაითვალოს. ხოლო, როცა სახელმწიფო მნიშვნელობის სხდომას მართავ და ოპოზიციონერ დეპუტატებს ასეთ ნაკლოვან შენობაში ეპატიჟები, კანონიდან გამომდინარე, ეს არაა გონივრული მოქმედება.

„ელემენტარულად, კანონის მოთხოვნიდან გამომდინარე, არ შეიძლება, ამ შენობამ ექსპლუატაცია დაიწყოს. ფაქტობრივად, ჩემი კოლეგები თავს საფრთხეში იგდებენ, როცა ხარაჩოებიან შენობაში შებრძანდებიან და იქ მოისურვებენ სხდომის ჩატარებას. უკვე დადასტურებულია ის ფაქტი, რომ 26 მაისს მისი დასრულება ვერანაირად ვერ მოესწრება. ამიტომაც ღვარძლნარევი იუმორი ჩააქსოვა პრეზიდენტმა რამაზ ნიკოლაიშვილთან მიმართებით, როდესაც განაცხადა, რომ ნიკოლაიშვილს, შეიძლება, ინფარქტი მოუვიდეს, თუ 26 მაისს შენობას არ დაასრულებს".

დეპუტატის თქმით, ეს იუმორნარევი და ღვარძლნარევი მუქარა არა მხოლოდ რამაზ ნიკოლაიშვილისკენ მიმართული მესიჯია, არამედ ეს არის გზავნილი მორჩილი საპარლამენტო უმრავლესობისთვის, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, მათ მოუწევთ სხდომის ჩატარება და ამას წინასწარ უნდა შეეგუონ.

„ჩვენ არ ვაპირებთ, პრეზიდენტ სააკაშვილს ვდიოთ თბილისიდან ქუთაისში. ის, რომ 26 მაისს ცდილობს, გაერიდოს თბილისს, სრულიად ბუნებრივია. იცის, რომ 2011 წელს ხალხის წინაშე დანაშაული აქვს ჩადენილი და, უბრალოდ, ერიდება ყველანაირ ექსცესს, რომელსაც შეიძლება, ადგილი ჰქონდეს იმ დღეს ამ ექსცესთან დაკავშირებით შემიძლია გითხრათ, რომ სრულიად ლეგიტიმურია საზოგადოების იმ ნაწილის მოთხოვნა, რომლებიც დაზარალდნენ 26 მაისს და ზოგიერთ შემთხვევაში, გამოუსწორებელი ზიანი მიადგათ, ხელყოფილ იქნა ფუნდამენტური, კონსტიტუციით გარანტირებული სიცოცხლის უფლება, რამდენიმე ადამიანი შეეწირა ამ აქციის დარბევას, რომელზეც პასუხისმგებლობაც უნდა აიღოს სახელმწიფომ, მმართველმა გუნდმა და უშუალოდ საქართველოს პრეზიდენტმა, რომელიც 26 მაისს გაურბის თავის ხალხს თბილისიდან ქუთაისში დაუმთავრებელ შენობაში", — აცხადებს დიმიტრი ლორთქიფანიძე.

იგი მიიჩნევს, რომ დეპუტატს ვერავინ აიძულებს, პარლამენტის სხდომას დაესწროს, ხოლო საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული სანქციები, რომლებიც ხელფასის დაქვითვას გულისხმობს, თუკი დეპუტატი სხდომას არასაპატიო მიზეზით არ ესწრება, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ვერ გამოდგება. ამდენად, თუკი ოპოზიციონერ დეპუტატებს 26 მაისის სხდომაზე დაუსწრებლობის გამო ხელფასს დაუქვითავენ, რა თქმა უნდა, მათ საკუთარი თავის დაცვის ბერკეტი ექნებათ. მათი არგუმენტი სწორედ ეს არასრულფასოვანი და არანორმირებული შენობაა, რომელშიც გამართულ საზეიმო სხდომაზე დასწრებასაც მათ უკანონოდ სთხოვენ.

**მანანა ნოზაძე**

ძეგლები გოდებენ

# როგორ „უკვდავყვეს“ თავიანთი გვარ-სახელები ნიგურიანებმა, ავალიანებმა და რატიანებმა,

## ანუ, „ომუნეს ჯიხა“!

**კულტურულ-ისტორიული ძეგლების ნუსხაში , წალენჯიხის რაიონის ქალაქ ჯვარის მიდამოებიდან რამდენიმე ძეგლია შეტანილი და, როგორც მითითებულია კულტურის მინისტრის ბრძანებაში, მათ სახელმწიფო იცავს! ესენია: — „ლეშამუგეს“ ეკლესია, „ჯიხა გაგაჩიას“ ციხე, „გუბანის“ ეკლესია და „ომუნეს ჯიხა“! ფრიად სამწუხაროა, რომ მათ შორის ვერ მოხვდნენ ჯვარის დანარჩენი ისტორიული ობიექტები, ციხეები, გალავნები, ნაეკლესიარები, მიწისზედა თუ, მიწისქვეშა სალოცავები და ჯვარის ცნობილი (მდინარე მაგანაზე გადებული) უნიკალური კიდული ხოდი! ეტყობა, ვინც ამ სიას „ადგენდა“ ან ნაქეიფარი იყო, ან მუცლის გვრემა ჰქონდა და ვერ „მოიცალა“ ბოლომდე ჩაძიებოდა საქმეს!**



თავმდაბლად უნდა ვაღიარო, ამ თემაზე, რესპუბლიკურ პრესაში ჩემს და ჩემი მეგობრების კალამს ბევრჯერ დაუწერიათ „წკიპურტ-ფელეტონ-სტატია-ნარკვევები“, მაგრამ სათანადოდ ვერავის გავამახვილებინეთ თავიანთი „დავსებული“ ყურადღება და, მართალი გითხრათ, გული მტკივა! თუმცა, მთლად „უსაქმურადაც“ არ ვიჯექი! გასული საუკუნის სამოცდაათიან-ოთხმოციან წლებში საქართველოს ტელევიზიის სამეცნიერო გადაცემათა რედაქციის რედაქტორი გახლდით და მქონდა საშუალება ზემდგომი და ქვემდგომი „მოღვაწეების“ ყურამდე მიმეტანა ქართული კულტურული მემკვიდრეობის ჭირ-ვარამი! მართალია, ჩემს ჯვარს ბევრი ვერაფერი ვერ ვუშველე, თორემ, სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, სვანეთზე და სვანეთის კულტურულ საგანძურზე წიგნიც კი დავწერე! შესანიშნავ სვან მოღვაწეებთან, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორებთან მიხეილ და შოთა ჩართოლანებთან ერთად, მოკრძალებული ნაბიჯები გადამიდგამს ამ მხარის მაჩვიბებისა და კოშკების აღდგენა-რესტავრაციის საქმეში, მაგრამ ჯვარის ძეგლებს ველარაფერი ვუშველე-მეთქი, მოგახსენეთ! ნათქვამი სიტყვამ მოიტანა და ბოდიშს ვიხდი, რომ თქვენი ყურადღება შევაყოვნე ჩემი „დამსახურების“ წარმოჩენაზე, მაგრამ ამ პუბლიკაციის თემამ მიმიყვანა აქამდე!

ოთხმოციანი წლების დასაწყისში, როდესაც სვანეთში სარესტავრაციო სამუშაოები, თითქმის, ბოლომდე იქნა მიყვანილი, ვილაც „კეთილ ბიძიას“ თავში მოუვიდა: რახან სახელმწიფო ფულს იძლევა, მოდით, ჯვარში „ომუნეს (ლაყორიას) ჯიხაც“ აღვადგინოთო და ყოველგვარი სამეცნიერო და არქიტექტურული შესწავლის გარეშე... „აღადგინეს“!

სამწუხაროდ, აღადგინეს და წაშალეს ისტორიული პროფილი!

სვანეთის ძეგლებზე სატელევიზიო გადაცემების მომზადებასთან დაკავშირებით, არა ერთხელ გამივლია „ომუნეს ჯიხასთან“ ბატონ მიხეილთან და ბატონ შოთასთან ერთად და, როდესაც ამ „ჯიხასთან“ შევჩერდებოდით, ხაზგასმით მეტყოდნენ:

— ზაურ, ეს „ჯიხა“ უძველესი კოლხური ციხე-სიმაგრის ერთ-ერთი მთავარი კოშკია და ენგურის რიყის ქვითაა ნაშენი! მართალია, ამჟამად იგი ჩამონგრეულია, მაგრამ თავის დროზე მას კოლხური არქიტექტურისათვის დამახასიათებელი ქონგურები ამშვენებდა! თუ, კარგად მოივლი აქაუროზას, ამ მთის ძირას ეკლესიასაც და სალოცავსაც ნახავ, რომელთაც „ჯიხასთან“ გვირაბი უნდა აერთებდეს! აუცილებელია აქაუროზის სათანადო არქეოლოგიური გამოკვლევა!... აქ ყოველმა ლოდმა, შეიძლება, კოლხური კულტურის უძველესი ნაშთები აღმოაჩინოს! — მეტყოდნენ და თან, ანა ანტონოვსკაიას „დიდი მოურავიდან“ ციტატებს მიკითხავდნენ, რომლებიც ამ „ჯიხას“ ისტორიას ჰყვებოდნენ!

მოგეხსენებათ, ბატონები მიხეილი და შოთა არქეოლოგები გახლდათ და სასურველი იყო სათანადოდ დამეგდო ყური მათთვის, მაგრამ, ვაი რომ, ჩემს უბის წიგნაკში ჩანაწერებმა მაშინათვე ვერ ჰპოვეს ასახვა პრესაში! მერე კი, ოთხმოციანი წლებიდან, ბევრჯერ მითქვამს სათქმელი ამ კოშკზეც და მაგანას ხიდზეც, მაგრამ უკვე დამაგვიანდა! მაგანას ხიდი დღეს, ლამის არის, ჩამოქცევის პირსაა მისული, „გუბანის ჯიხას“ კი, ვილაც უვიცმა და ბედოვლათმა „ბიძიამ“ სახე უცვალა, იგი „სვანურ კოშკად“ გადააკეთეს! ესეც არაფერი, კიდევ უფრო მეტი! — „უკვდავების მაძიებელმა“ კალატოზებმა, საიდანღაც ჩამოტანილი „უცხო“ ლოდებით მორთეს, კოშკის ჩრდილოეთ კედლის მიუდგომელ არეში კი, „დიდოსტატის მარჯვენად“ ამოტვიფრეს საკუთარი გვარ-სახელები: — ნიგურიანი, ავალიანი, რატიანი!

ეტყობა, იმ წლებში წალენჯიხელებს პატრონი არ ჰყავდათ და ფეხებზე ეკიდათ ისტორიული სინამდვილე! „გამორჩათ“ ყურადღებით, რომ უნდა ყოფილიყვნენ! — არავის უკითხავს, ვინ რას „აშენებდა“?!

უფრო სამწუხარო ის არის, რომ არც ამჟამად ჩანან გულმხურვალე მამულიშვილები, რომლებიც ყურადღებას მიაქცევენ „წინმავალთა“ უგერგილო საქმეების გამოსწორებას!

თუმცა, მხოლოდ მათ რას ვერჩი? ამ საფიქრალთან დაკავშირებით თბილისშიც მივმართე „ზემდგომ ოგანოებს“, მაგრამ იმ „ზემდგომმა“ მათზე ცოტა უფრო „ქვემდგომში“ გამაგზავნეს,— ეს მათ ეხებათ და ჩვენ ნუ გვაწუხებთო! „შევაწუხე“ ის „ქვემდგომიც“, მაგრამ უკვე ორი წელიწადი იწურება და იქიდანაც არავითარი ოფიციალური პასუხი არ მიმიღია. პირიქით, ტელეფონშიც კი, გამინაწყენდა დიდად პატივცემული ქალბატონი (ამჯერად გვარს არ დავასახელებ!) და „ჭკუაც მასწავლა“!

...ამ რამდენიმე თვის წინათ კი, ტელეყუთში დიდი ზარ-ზეიმი აჩვენეს ჯვარიდან,—ბატონი პრეზიდენტი ეწვია ჯვარს! აღტაცებულნი იყვნენ ჯვარელები! მართალია, მე თვითონ ჯვარელმა ამ დუნია ხალხში ვერ ამოვიცანი ჩემი მეზობლები, მაგრამ მთავარი ეს როდი იყო! მთავარი ის იყო, რომ, — გამიხარდა!... გავიფიქრე, ჯვარელები ახლა მაინც გაბედავენ და მოახსენებენ პრეზიდენტს თავიანთ სათქმელს-მეთქი, მათ შორის მორიდებით მაინც შეახსენებენ მაგანას ხიდსა და „გუბანის ჯიხას“-მეთქი!... ისემც მტერი ჩაგეფუშოთ, როგორც მე ჩამეფუშა იმედები!... არადა, ბატონი პრეზიდენტი იქვე, ხიდთან, ორმოც და ათ მეტრში ბრძანდებოდა სადილად! თუ, კიდევ ორიოდე ასეულ მეტრს გაივლიდა, „ომუნეს ჯიხასაც“ ნახავდა და თუ, კიდევ ვინმე დააინტერესებდა, თანამედროვე „კალატოზების“ ხელრთვასაც ნახავდა!

სამწუხაროდ ეს ასე არ მოხდა, რადგან ვერ ივარგეს ჯვარელებმა, ვერ გაბედეს წალენჯიხელებმა და პრეზიდენტს კი, მიუხედავად იმისა, რომ გაზეთებში არა ერთხელ დაწერილა, საიდან ეცოდინებოდა ჯვარელთა გულის ნადები, თუ ვინმე არ ეტყოდა?!

...ჰოდა, რას ვერჩით ნიგურიანებს, ავალიანებს და რატიანებს? მათ ხომ ისტორიაში „დარჩენა“ სურდათ?

სურდათ და მიაღწიეს კიდეც!

იქნებ წალენჯიხაში და ჯვარში ახლა მაინც გამოიღვიძოს ხალხმა! თორემ, გული მწყდება კიდევ ერთხელ ასეთი სტრიქონების წერა რომ მიწევს!

ამასაც თავი რომ დავანებოთ, უხერხულია, ხალხო, კვლავ ხომ არ „შევაწუხებ“ იმ „ზემდგომებს“? იქ, ყველგან ჩემი ახლობლები „მოღვაწეობენ“ და შევწუხდები ისინი კიდევ ერთხელ რომ „შევაწუხო“!

**ზაურ ფიფია**



კიდევ ერთი მწარე სინამდვილე

# შეწყალებული პატიმრების უმეტესობას არჩევნების გასაყალბებლად ამზადებენ

**ადვოკატი მამუკა ნოზაძე აცხადებს, რომ სააღდგომოდ შეწყალებულ პატიმართა უმეტესობას ხელისუფლება საარჩევნო პერიოდში გამოიყენებს და მათი ნაწილით ზონდერბრიგადებს დააკომპლექტებს, ნაწილს კი მოსახლეობასა და ჟურნალისტებზე ფსიქოლოგიური ზეწოლისკენ მიმართავს.**

Presage.tv **მამუკა ნოზაძეს ესაუბრა.**

**მამუკა ნოზაძე:** სააღდგომოდ ბევრი ადამიანი პოლიტიკური ნიშნით შეიწყალეს. სწორედ ამ ადამიანების გამოყენებას აპირებენ არჩევნებისთვის. შემიძლია კონკრეტული გვარის დასახელებაც, ეს გახლავთ აკაკი კახაძე, რომელსაც საპროცესო გარიგება გაუფორმეს, მან ერთ-ერთი ადვოკატი ტარიელ მურმანიშვილი დანაშაულში ამხილა, სანაცვლოდ, მისი გამოყენება გადაწყვიტეს. პროკურატურის მიერ შეღავათი იმ მიზნით განხორციელდა, რომ კახაძე არჩევნების გასაყალბებლად გამოიყენოს. სანდო წყაროს მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ვაცხადებ, რომ იგი გაყალბების მიზნით ზონდერბრიგადის ერთ-ერთ წევრად არის ჩარიცხული. აკაკი კახაძეს ბრალი ჰქონდა წარდგენილი თაღლითობისთვის, მის მიმართ შერაცხული ბრალი უშუალოდ საქმის მასალებითაც დასტურდებოდა. მან აღიარა კიდეც დანაშაული, მიუხედავად ამისა, მის მიმართ შეღავათი განხორციელდა და იგი დარბაზიდან გათავისუფლდა.

მაშინ, როცა უამრავი ადამიანი უმნიშვნელო, ასლარიანი თანხის გამო თაღლითობისთვის არის მსჯავრდებული, სახელმწიფოს მხრიდან მათ მიმართ არანაირი შეღავათი არ ხორციელდება და ყველა მათგანს ხანგრძლივი პატიმრობის ვადა ექლევა. საზოგადოების დიდი ინტერესის მიუხედავად, პრეზიდენტის კანცელარია სააღდგომოდ შეწყალებულთა სიას ასაიდუმლოებს. ამ დროს კი ისეთი პირები შეიწყალეს, რომლებიც პოლიციასთან დაახლოებულნი, ან პოლიციის ოჯახის წევრები არიან. მათი შეწყალება მხოლოდ იმის სანაცვლოდ მოხდა, რომ ეს ადამიანები აქტიურად იქნებიან ჩარეულნი საარჩევნო პროცესებში - ეს იქნება დაშინება, გაყალბება, შანტაჟი და ა.შ.

საზოგადოებამ ისედაც იცის, თუ რის სანაცვლოდ უშვებენ ციხიდან მათ ახლობლებს ან მეზობლებს. ძირითადად, შეწყალება ხდება პოლიციის და პროკურატურის უშუალო მითითებით. ამიტომ, არჩევნების პროცესში ოპოზიციურ პარტიებს ყურადღება მართებთ ამ ადამიანების მხილების მიზნით, რათა ამ მოტივით შეწყალებული ადამიანები გამჟღავნდნენ. „ნაციონალური მოძრაობა“ სწორედ კრიმინალური მენტალობის ადამიანებზეა დაფუძნებული, წინა არჩევნებშიც აქტიურად ხდებოდა კრიმინალების გამოყენება არჩევნების გაყალბებისა და მოსახლეობის დაშანტაჟების მიზნით.

**— თქვენ კონკრეტული ფაქტის შესახებ ბრძანეთ, მაგრამ ბოლო დროს გათავისუფლებულთა შორის რამდენი პროცენტი იქნება საარჩევნო მოტივით გათავისუფლებული?**

— უმეტესობა, 80% სწორედ ამ მიზნით არის გათავისუფლებული, რადგან არათუ შეწყალება, არამედ ვადაზე ადრე გათავისუფლებაც კი არ ხდება პოლიციის და პროკურატურის ნებართვის გარეშე. ანუ, თუ ხელისუფლება არ მიიღებს მყარ გარანტიას, რომ ის ადამიანი, რომელსაც ათავისუფლებს, ან მისი ოჯახის წევრი არ დაეხმარება „ნაციონალურ მოძრაობას“, არც გამოუშვებენ. შემიძლია, დავასახელო კონკრეტული პიროვნებები, რომლებსაც ექვსი თვე აქვთ დარჩენილი და, კანონის თანახმად, ყველანაირად ექუთვნით ვადაზე ადრე გათავისუფლებისთვის გათვალისწინებული შეღავათი — ოჯახური მდგომარეობის, ავადმყოფობის გამო, მაგრამ ხელისუფლების მიერ შეღავათი ამ პიროვნებების მიმართ ხორციელდება. ეს შეღავათი მხოლოდ და მხოლოდ იმ კუთხით ვრცელდება, თუ როგორ მოხერხდება მათი ჩართვა არჩევნების გაყალბებაში. ისინი სპეციალურ ინსტრუქტაჟს უტარებენ ამ ადამიანებს, ჟურნალისტებზე ზეწოლის განხორციელების მიზნით. დანარჩენ 20 %-ში კი, რომლებიც გაათავისუფლეს, შედიან ის პიროვნებები, რომლებსაც ისედაც ცოტა ხანი, სულ რაღაც 2-3 თვე ჰქონდათ დარჩენილი, რაც ხელისუფლებას სტატისტიკისთვის სჭირდება, რომ თურმე ამდენი პატიმარი შეიწყალეს და, რომ ისინი ძალიან ჰუმანურები არიან.

**— ხელისუფლებას შეუძლია თქვას, რომ ამ ადამიანების ვინაობის გასაიდუმლოება იმ მოტივით ხდება, რომ მათ დანაშაული აქვთ ჩადენილი და, ამდენად, არ არის სასურველი მათი გამოაშკარავება.**

იხ. 8 გვ.

◎ თემის გაგრძელება

# პედერასტ-მამათმავალ-ჰომოსექსუალებზე – ოდნავ ვრცლად

**აჰ, „მამათმავალი“ და, განსაკუთრებით, „პედერასტი“ არ იხმაროთ, იგი სალანძღავი სიტყვა გახდა დასავლეთში, მაშასადამე(!), ჩვენთანაც და, მინიმუმ, ბოდიში უნდა მოიხადოთ, რადგანაც ადამიანის შეურაცხყოფა კანონით ისჯებაო, თითს გვიქნევენ პედერასტების დამცველები, გრანტებით გაზულუქებული ლიბერალები (თუ ლიბერასტები) ე.წ. „არასამთავრობოებიდან“ (ე.წ.-ულია და ბრჭყალებში ჩასასმელია ყველა ის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, ინსტიტუტი თუ ცენტრი, რომლებიც უცხო სახელმწიფოების ან მათი ინტერესების გამტარებელი ფონდების მიერ ფინანსდებიან გაუმჭვირვალედ!).**

ვინ გვიხსნის, ვინ გვისაბუთებს თუ რატომ იქცა „პედერასტი“ — დამამცირებელ, ხოლო „ჰომოსექსუალი“ პატივსაცემ სახელად 21-ე საუკუნეში? ამისთვის არავინ არ იწუხებს თავს. ეს სახელი ზედმეტსახელი რომ იყოს, როგორც, მაგალითად, „ჟიდ“ რუსი ებრაელისთვის, ან „ყიური“ — ქართველი ებრაელისთვის, მაშინ გასაგები იქნებოდა ყველაფერი და ახსნაც არ დაგვჭირდებოდა. ჩვეულებრივ, ზედმეტსახელობაა დამამცირებლობის განმსაზღვრელი და ეს კარგად ჩანს სიტყვა „ჟიდ“-ის მაგალითზეც — იგი დამამცირებელი სახელია რუსეთში, პოლონეთში კი — არა, ერთადერთი მიზეზის გამო — რუსეთში, „ჟიდ“ ებრაელის ზედმეტსახელია, პოლონეთში კი — ძირითადი. ეს არის და ეს! „პედერასტმა“ რაღა დააშავა, რომელიც ერთადერთ სახელად, ტერმინად იყო დამკვიდრებული ასწლეულების განმავლობაში?!

მოდით, შევეცადოთ გავიაზროთ და გასაგები ენით ავხსნათ, თუ რა ხდება ჩვენს თავს, რა მოვლენასთან გვაქვს საქმე, რამ შეუწყო ხელი პედერასტების ნაწვიმარზე ამოსული სოკოებივით მომრავლებას, სასარგებლოა მათი გამრავლება საზოგადოებისთვის თუ — საზიანო, რა მიზნით უჭერენ მათ მხარს ასე აქტიურად დასავლეთის ხელისუფალნი და რატომ აიძულებენ დანარჩენ მსოფლიოს ნორმად მიიჩნიოს მამათმავლობა და, აქედან გამომდინარე, გასაქანიც ფართო მისცეს მას.

დავიწყოთ ტერმინით. **„პედერასტი“ შედგება ორი ბერძნული სიტყვისგან — „ბიჭი“ და „მყვარებელი“** და, ცხადია, თავად ეს სიტყვები არ შეიძლება მიუღებელი, შეურაცხმყოფელი იყოს ნორმალური ფსიქიკის ადამიანისთვის. ეგებ, მასში ჩადებული შინაარსია პროტესტის გამომწვევი პედერასტ-დამცველებში?

**თავდაპირველად, „პედერასტიაში“ იგულისხმებოდა მამაკაცის სქესობრივი კავშირი არასრულწლოვან ბიჭთან; შემდეგში, უკვე აღარ ხდებოდა სექსუალურ აქტში მონაწილეთა ასაკობრივი დაყოფა — ტერმინი მოიცავდა როგორც არასრულწლოვანთან, ისე — მამაკაცის მამაკაცთან კავშირს; ბოლო საუკუნეებში კი იგი მხოლოდ ზრდასრულ მამაკაცთა შორის სქესობრივი კავშირის აღმნიშვნელად იხმარებოდა.**



როგორც ვხედავთ, არსი ტერმინისა არ შეცვლილა ათასწლეულების მანძილზე, იგი გამოიყენებოდა ლიტერატურაში, მეცნიერებაში და, რაღა თქმა უნდა, ყოველდღიურ ცხოვრებაში (თუმცა, მამათმავლებზე საუბარს იშვიათად გაიგონებდა კაცი — ეს, ალბათ, მათი სიმცირით იყო განპირობებული და იმითაც, რომ ქრისტიანული ეკლესია ამ სოდომის ცოდვილებზე საუბარს ამორალურად თვლიდა).

**პედერასტების დამცველებიდან არავინ იწუხებს თავს განგვიმარტოს, თუ რა აქვთ მათ ამ, შინაარსით მოვლენის გამომხატველი და ფორმით — უწყინარი სიტყვებისგან შემდგარი ტერმინის საწინააღმდეგო, და რით განსხვავდება ის ტერმინ „ჰომოსექსუალისგან“, რომელსაც ინტენსიურად ამკვიდრებენ დღეს მთელ მსოფლიოში.** ახალი ტერმინების საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ გაუგებარი და აღმაშფოთებელი ის არის, როცა უძველეს და საყოველთაოდ დამკვიდრებულ ტერმინს უცებ, ერთი ხელის მოსმით ღირსების შემლახავ მნიშვნელობას ანიჭებენ და მის მომხრეებს ამ სიტყვის თქმის(!) უფლებასაც გვიკრძალავენ — დასჯით გვემუქრებიან! ასეთი პრეცედენტი — მრავალსაუკუნოვანი ტერმინის ხმარებისთვის სასჯელი, ისტორიამ არ იცის! „პედერასტი“ ზუსტად იმდენად არის დამამცირებელი, რამდენადაც სამარცხვინოა თავად პედერასტობა მოცემულ სახელმწიფოში, არც მეტი, არც ნაკლები!

ახლა თანამედროვე ტერმინ — „ჰომოსექსუალობაზეც“ ვთქვათ. **„ჰომოსექსუალი“ ორენოვანია - ბერძნულ-ლათინური სიტყვებისგან ნაწარმოები, ბერძნული „ჰომოს“ (და არა ლათინური „ჰომო“!) „ერთნაირს, იგივეს“ ნიშნავს, ლათინური „სექსი“ კი — „სქესს“, და არა — სექსს. იგი, პედერასტების აღმნიშვნელად, როგორც სინონიმი(!), უნგრელმა ჟურნალისტმა — კარლ-მარია კერტბენიმ მოიგონა მე-19 საუკუნის ბოლოს და პირველად თავის ერთ-ერთ ანონიმურ პამფლეტში იხმარა, რომელიც მიმართული იყო პრუსიის „ანტისოდომური კანონის“ წინააღმდეგ.** ფიქრობენ, რომ კერტბენი თავად იყო მამათმავალი (ამის დამადასტურებელი საბუთი არ არსებობს, მიუთითებენ მხოლოდ იმაზე, რომ მას ცოლი არ ჰყოლია და პედერასტებს იცავდა), მაგრამ ეს არ არის მთავარი, მთავარია ის, რომ მას სურდა პედერასტია არ ყოფილიყო გათანაბრებული კრიმინალთან, რომ მამათმავლობაში შემჩნეული მამაკაცები, რომლებიც ურთიერთთანხმობით ამყარებდნენ სქესობრივ კავშირს საკუთარ სახლებში და თავიანთი გადახრების აფიშირებას არ ახდენდნენ, არ დასჯილიყვნენ.

ახლა ვნახოთ ერთი და იმავე მოვლენის გამომხატველი ტერმინი-სინონიმები — „პედერასტი“ და „ჰომოსექსუალი“ რამდენად ზუსტად, სრულად გადმოსცემენ მათში ნაგულისხმევ შინაარსს. **„პედერასტი“, როგორც ზემოთ მივუთითეთ, „ბიჭის მყვარებელს“ ნიშნავს, „ჰომოსექსუალი“ კი — „ერთნაირი სქესის (მქონეს)“. დიდი გონების დაძაბვა არაა საჭირო, რომ მიხვდე თუ რა შინაარსია ჩადებული „პედერასტში“, აი, ტერმინ „ჰომოსექსუალის“ შინაარსს კი ეშმაკიც ვერ ჩასწვდება.**

მაშ რა აუცილებლობა იყო ასეთი რადიკალური ტერმინოლოგიური ცვლილებების? **რა საჭირო იყო უძველესი და მთელ მსოფლიოში გავრცელებული სწორი ტერმინის შეცვლა არაფრისმთქმელი, სავარაუდოდ, პედერასტის მიერ შეკოწიწებული ტერმინით მე-20 საუკუნის ბოლოს? აბსოლუტურად არავითარი! ეს გაკეთდა მხოლოდ ერთი მიზნით — რათა ხალხს, ნორმალურ ადამიანებს დაავიწყდეთ უძველეს ტერმინში ჩადებული ჭეშმარიტი შინაარსი — ქრისტიანობის მიერ დაგმობილი მამათმავლობა, ხოლო ყურისთვის მისაღები ახალი ტერმინი კი ე.წ. „სექსუალური ორიენტაციის“, „არატრადიციული სექსის“ ასოციაციას იწვევდეს, მხოლოდ ასოციაციას და არა — პროტესტს!**

მიუხედავად იმისა, რომ ჰომოსექსუალები ფსიქიკური პრობლემების მხრივ ბევრად უფრო დიდი რისკის შემცველები არიან (გაცილებით ხშირია მათში თვითმკვლელობა, დეპრესია, ბულიმია — მომატებული მადიანობა, ანტისოციალური პერსონალური მოუშლილობანი), ვიდრე ნორმალური, ჰეტეროსექსუალებად წოდებული ადამიანები. ჰომოსექსუალების დამცველი მეცნიერები (ასეთები, საბედნიეროდ, ძალზე ცოტანი არიან) მას ნორმის ვარიანტად მიიჩნევენ იმის საფუძველზე, რომ ჰომოსექსუალების ფსიქიკაში, თითქოსდა, რაიმე გადახრა არ შეინიშნება. ამ მეცნიერების დასკვნები, როგორც იტყვიან, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს და აი, რატომ: ჯერ ერთი, არაბუნებრივი(!) სექსუალური კავშირი ფსიქიკურ გადახრათა კატეგორიას რომ მიეკუთვნოს, სრულებით არ არის აუცილებელი მისი დაწყვილება სხვა ფსიქიკურ დარღვევასთან (არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მე-20 საუკუნის ბოლომდე პედერასტია ფსიქიკურ დაავადებათა საერთაშორისო ჩამონათვალში იყო შეტანილი!); და მეორეც, რაც არ უნდა უცნაურად მოგვეჩვენოს, ეს დამცველები, რომლებიც „ჰომოსექსუალებში“ ერთად განიხილავენ აქტიურ და პასიურ პედერასტებს (ასევე, ლესბოსელებსაც) ფსიქიკაში სხვაობას მათ შორისაც ვერ ნახულობენ, თითქოსდა, სხვაობა მხოლოდ იმაში იყოს, თუ „ვისი ვიოლინო ვის როიალშია“, და სხვა არაფერში! შეუძლებელია ასობით პედერასტზე აწარმოებდე მეცნიერულ დაკვირვებას და პასიურ პედერასტ „მამაკაცებშიც“ (გასაგები ენით — წაკუზულებში) ვერ ამჩნევდე ნორმიდან გადახრას — ბიოლოგიურად მამაკაცად დაბადებული ადამიანის ქალივით მეტყველებას, ჩაცმა-დახურვას და სიარულის მანერას. გნებავთ, აქტიური (წელ- და სხვა რამ გამართული) პედერასტები ავიღოთ, რომლებიც კაცის(!) უკანალს ამჯობინებენ ქალისას; ამათ რა, „შარიკები“ აკლიათ?! თუ ვინმე იტყვის — ჰომოსექსუალებს ფსიქიკური გადახრა არ აღენიშნებათ, ისინი მხოლოდ სექსუალურად არიან სხვაგვარად გადახრილ-ორიენტირებულებიო, მაშინ ლოგიკური დასკვნა თავისით გაკეთდება — ასეთი ადამიანი თავად, ან მისი შვილი, არის ამგვარად „ორიენტირებული“, ანდა სხვისი დაკვეთის შემსრულებელია.

განა რა ისეთი აღმოჩენები გაკეთდა მე-20 საუკუნის ბოლოს, რომ ყველაფერი თავდაყირა დადგა და პედერასტებს, ყველანაირ უფლებასთან ერთად, ერთმანეთში ქორწინების უფლებაც მიეცათ „ცივილიზებული“ დასავლეთის მთელ რიგ სახელმწიფოებში, და იქაურ ეკლესიებშიც სიამოვნებით იწყეს მათი ჯვრისწერა?! არც არაფერი! რომ ყოფილიყო, დაგვიმალავდნენ თუ რა?!

სანამ პედერასტიის ავ-კარგიანობაზე გადავიდოდეთ, ჯერ ვიკითხოთ, თუ რამ შეუწყო ხელი მის ასე არნახულად გავრცელებას მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან. ასეთი, ლამის გეომეტრიული პროგრესიით ზრდა არასოდეს ყოფილა და ყოვლად შეუძლებელია იგი უმიზეზოდ მომხდარიყო. ვნახოთ, რა შეიცვალა ჩვენს ცხოვრებაში, ჩვენი ცხოვრების წესში და ეგებ, გაგვიადვილდეს პასუხის გაცემა.

ჩამოვთვალოთ ის, რაც უდავოა:

**1. კვება — მინარევებიანი (პესტიციდები, კონსერვანტები, ფერმენტები, ჰორმონები, ანტიბიოტიკები, საღებავები და სხვ.) და გენმოდიფიცირებული საკვები, ბავშვთა მასობრივად გადაყვანა ხელოვნურ კვებაზე;**

**2. მკურნალობა — ქიმიური, ჰორმონალური პრეპარატები, ანტიბიოტიკები, ნარკოტიკები, ფართოდ გავრცელებული ნაძალადევი (!)აცრები — აუტო-იმუნურ სისტემაზე უარყოფითად ზემოქმედი და, იმავდროულად, არაეფექტური, სერიოზული გართულებების გამომწვევი (ნუ დაგვავიწყდება, რომ ერთი და იმავე დასახელების ვაქცინები და წამლები, ე.წ. „ბრენდ-ნეიმ“ და „ჯენერიკ“ — იაფიანი, მოსახლეობის ფართო ფენებისთვის გამოშვებული, საგრძნობლად განსხვავდებიან ერთმანეთისგან სიწმინდის ხარისხით, შესაბამისად — გვერდითი მოვლენებით დაფასებით (!); ზუსტად ისევე, როგორც საკვები პროდუქტები — შხამ-ქიმიკატებით გაჯერებული და ორგანულ სასუქზე მოყვანილი);**

**3. გარემო — მოწამლულ-გაბინძურებული ჰაერი, წყალი, ნიადაგი (ტყვიის შემცველი საწვავი, ქარხნების და მანქანების გამონაბოლქვი, წიაღისეულის მომპოვებელ-გამამდიდრებელი საწარმოების ნარჩენები, მაღალი რადიაციული ფონი);**

**4. აღზრდა — ადრეულ ასაკში, სრულწლოვანობამდე დაწყებული (მასობრივად) სექსუალური ცხოვრება; ხელისუფლების მიერ ჰომოსექსუალიზმის ნორმად მიჩნევა და მისი პოპულარიზაცია (ჰომოსექსუალების მომხიბვლელ და დადებით პიროვნებებად ხშირ-ხშირად წარმოჩენა ტელეგადაცემებში, მხატვრულ ფილმებში); პორნოინდუსტრიის ბუმი; მშობლების დიდი ნაწილის (ევროპა-ამერიკაში) ინდიფერენტულობა; ეკლესიის არაგამოკვეთილი პოზიცია;**

**5. კანონმდებლობა — ადამიანის უფლებების დაცვის მოტივით ჰომოსექსუალების, ანუ ერთსქესიანთა ქორწინების, ბავშვის შვილად აყვანის ნებადართულობა და სხვა, ახლო წარსულში წარმოუდგენელი დათმობები, კანონით გამყარებული.**

შესაძლოა, რაღაც-რაღაცები გამომრჩა კიდეც, მაგრამ ძირითადად ამ ხუთ ჯგუფში მოხდა კარდინალური ძვრები უკანასკნელ 30-40 წელიწადში. ჩამოთვლილი პოტენციური მიზეზებიდან პირველი ორი ჯგუფი განსაზღვრავს, მეტ-ნაკლებად, დაავადების (დიაბეტი, ალერგია, კვებითი მოშლილობანი, აუტიზმი, ლეიკოზი, იმუნო-დეფიციტური სინდრომები, ფსიქიკური გადახრები და კიდევ ბევრი სხვა) ჩამოყალიბებას თუ მისადმი მიდრეკილებას, ხოლო ამ მიდრეკილების გამოვლენაში მესამე ჯგუფი — გარემო ასრულებს მნიშვნელოვან როლს. რაც შეეხება იმავე მიზეზების პროდუქტს — ჰომოსექსუალობას, მის რეალიზაციაში უდავოდ გადამწყვეტია(!) მეოთხე და მეხუთე ჯგუფი მიზეზებისა — აღზრდა-კანონმდებლობა-საზოგადოების პოზიცია (არაფერს ვლაპარაკობ იმ მიზერულ შემთხვევებზე, რომლებსაც ყოველთვის ჰქონდა და ექნება ადგილი, რომლებიც იმდენად არიან გენეტიკურად დაპროგრამებულნი, რომ გარემო თითქმის ვერ ახდენს მათზე ზეგავლენას).

ამერიკის მოსახლეობის 2000 წლის აღწერით ქ. ატლანტის ყოველი 20 წყვილიდან ერთი გეი-წყვილი იყო, ანუ 5 %(აღწერის ფორმაში არ იყო ცალკე კითხვა მარტოხელა გეების თაობაზე)! თავად გეი-ლიდერები კი იმ დროს აცხადებდნენ, რომ, საერთო ჯამში ისინი 10 %-ს აჭარბებენ. ეს ხომ კოლოსალური, დაუჯერებელი რაოდენობაა— 30 მილიონი, მარტო ამერიკის მასშტაბით! ხელისუფლების მხრიდან ყოველმხრივი ხელშეწყობის და მაღალი „შობადობის“ ხარჯზე ვინ იცის კიდევ როგორ იბარტყეს პედერასტებმა 21-ე საუკუნის 10-12 წელიწადში! ასეთი სიმრავლით და პოპულარობით გამოწვეულ მათ სიხარულს საზღვარი არა აქვს, აკი გვამცნეს კიდეც ახლახანს „იმედის“ ეკრანიდან იმედიანად — დღეს კი გვიწოდებთ უმცირესობას, მაგრამ ხვალ, ეგებ თქვენ აღმოჩნდეთ ჩვენს ადგილას! მე თქვენ გეტყვით და არა აქვთ ოპტიმიზმის საფუძველი. ჰოდა, ველოდოთ ამ ხვალინდელ დღეს ბაიყუშებივით, ნაბიჯი არ გადავდგათ, ხმა არ ამოვიღოთ, ზედმეტი სიტყვა არ ვაკადროთ პედერასტებს და მათ დამცველ „ცივილიზებულ“ დასავლეთს არ ვაწყენინოთ, რათა გრანტები და „შეშფოთებები“ არ მოგვაკლდეს!

არადა, პირდაპირ საოცარია, თავად ევროპა-ამერიკა არ იღებს ხმას, სადაც მართლა კატასტროფული მდგომარეობაა ამ მხრივ. იქნებ, მართლაც დადებით მოვლენასთან გვაქვს საქმე, ჩვენ კი ვერ ვერკვევით და ტყუილ-უბრალოდ ვტეხთ განგაშს?!

როდესაც ჰომოსექსუალობას აკრიტიკებენ და ლანძღავენ, როგორც წესი, ლაპარაკობენ მის მორალურ მხარეზე და მას გარყვნილებად მიიჩნევენ; რელიგია, განსაკუთრებით კი ქრისტიანული ეკლესია ცოდვად, სოდომის ცოდვად თვლის მამათმავლობას. ამ ბრალდებებზეა თითქმის მთლიანად აგებული ის ანტიპედერასტული კამპანიები, რომლებიც კანტიკუნტად, მაგრამ ჯერ კიდევ იმართება დასავლეთში, რუსეთსა და ჩვენშიც. თითქოს შესადავებელიც არაფერია ამ შეფასებებში, მაგრამ იგი არც მთლად სწორია და არც — სრული. გარყვნილება არის ანალური (ორალურიც, ე.წ. მინეტი) სქესობრივი კავშირი მამაკაცსა და ქალს შორის, ხოლო მამაკაცსა და მამაკაცს შორის ანალოგიური კავშირის შემთხვევაში მორალური კატეგორია — გარყვნილება უკანა პლანზე გადადის, წინ გამოდის ფსიქიკური დევიაცია, გადახრა. მაგრამ საქმე ისაა, რომ თავად პედერასტები, მათი დამცველები და ზოგიერთი ვაი-მეცნიერი არ თვლიან ამ მოვლენას არც ამორალურად, არც — ცოდვად და, რა თქმა უნდა, არც — დევიაციად. კაცია და გუნება, ასე მიაჩნიათ და ამიტომ, მარტოოდენ მორალური კატეგორიების მოშველიებით, საპირისპიროს ვერ დავუმტკიცებთ, ჩვენი არგუმენტაცია მაინც სუბიექტური და არადამაჯერებელი იქნება მათთვის, ისინი კონტრარგუმენტებით გვპასუხობენ — ის, რაც გუშინ ამორალური იყო, დღეს აღარ არის; რაც გარყვნილება გგონიათ, ის სექსის ვარიანტია; თქვენი გაგებით ფსიქიკური გადახრა კი ცივილიზებულობის გამოვლინებაა და მეტი არაფერიო. უკითხე ამ შეხედულებების და ასეთი ლოგიკის ხალხს „ნოტაციები“ და, გნებავთ, სახარება!

სამწუხაროდ, თითქმის არავინ არ საუბრობს ჰომოსექსუალობის თვალშისაცემ მეორე, საზოგადოებისთვის ზიანის მომტან — ანტისოციალურ მხარეზე. არადა, სწორედ ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი და უდავო (!) უარყოფითი მხარე. ეს „უდავოობაა“ უპირველესი მტკიცებულება იმისა, თუ რატომ უნდა შეწყდეს ჰომოსექსუალების ხელშეწყობა სასწრაფოდ ხელისუფლების მხრიდან, და რატომ გვაქვს უფლება მოვითხოვოთ არა ყბადაღებული ადამიანის უფლებების, არამედ — თავად ადამიანის, ადამის მოდგმის დაცვა!

უპირველესი ვალდებულება, არა კონსტიტუციით განსაზღვრული, არამედ ბევ-

# ბუნების წინააღმდეგ

## ◎ თემის გაგრძელება

რად ადრინდელი და ძვალ-რბილში გამჯდარი, არის სამშობლო მიწა-წყლის და ხალხის, მისი ენის, ტრადიციების და რელიგიის დაცვის ვალდებულება დაპყრობა-განადგურებისგან. ცხადია, პირველადი და განმსაზღვრელი არის თავად ერის ყოფნა-არყოფნა, მისი ფიზიკური გადაშენების თუ სულიერი გადაჯიშების საფრთხე, ერთ-ერთი ამათგანიც კი სასწრაფო ზომების მიღებას ითხოვს, და ეს რომ, პირველ რიგში, პატარა ერების შვილებს უნდა გვესმოდეს, ცხადზე უცხადესია.

მარტოხელა, უშვილო ადამიანები ყველა დროში იყვნენ და იქნებიან მომავალშიც (სხვათა შორის, ამ ხალხს საბჭოთა სახელმწიფო სიმბოლურად სჯიდა კიდეც – ე.წ. უშვილობის გადასახადს უწესებდა. დღეს თუ მარტოხელების რიცხვმა იმატა საქართველოში, ეს მატერიალური სიდუხჭირით აიხსნება, ამის გამო ერიდება ვაჟიც და ქალიც დაოჯახებას), მაგრამ ერთი წუთით დავუშვათ, რომ ამ ხალხმა საკუთარი ყოფის, მარტოხელობის რეკლამირება მოისურვა, ანუ დაოჯახების, გამრავლების საწინააღმდეგო კამპანია წამოიწყო და მისი ხელშეუხებლობა მოითხოვა სახელმწიფოსგან. ამ კატეგორიის ხალხს არა მარტო შერეკილებად ჩათვლიდა მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი, არამედ საზოგადოებისთვის საშიში მოწოდებებისთვის სახელმწიფოც დასჯიდა მათ. ცხადია, ამგვარი გაუკუღმართებული უფლებების მოთხოვნას არც ერთი ხელისუფლება არ დააკმაყოფილებს არსად, მით უფრო, – დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე მდგარ სახელმწიფოებში. მაშ, პედერასტებთან დაკავშირებით რატომ აქვს ყველა ხელისუფლებას დასავლეთში, და ბევრს – დანარჩენ მსოფლიოში, საპირისპირო დამოკიდებულება? ვითომ პედერასტიის გავრცელება ნაკლებ საშიშია ადამიანთა საზოგადოებისთვის?! რომელი ჭკუათმყოფელი იტყვის პედერასტების გარდა, რომ ყველაფერი, რაც კი ადამიანს გადაშენებით ემუქრება, სასწრაფოდ არ უნდა აღიკვეთოს, ეს ხომ აქსიომაა. და ჩვენი ეპოქის სირცხვილია (პირველ რიგში, დასავლეთის) დღეს რომ ამის მტკიცების საჭიროება დგას კაცობრიობის წინაშე!

როგორ დავიჯეროთ, რომ ზოგიერთი უფლებადამცველი და ხელისუფლებაში მოკალათებულნიც ვერ ხვდებიან იმ მარტივ ჭეშმარიტებას, რომ ჰომოსექსუალებისთვის „არაადამიანური“, ანუ ადამიანის მოდგმისთვის საშიში უფლებების მინიჭებით ყველა დანარჩენს ექმნება რეალური საფრთხე. ნინია კაკაბაძისნაირ დამცველებთან მორალზე, ზნეობაზე, ერის გადაგვარებაზე ლაპარაკს აზრი არა აქვს (რახან აქამდე ვერ მიხვდნენ, აწიც ვერ მიხვდებიან), მით უფრო წყლის ნაყვა იქნება ამ კატეგორიებზე დავა პათოლოგიური აზროვნების (ამ საკითხში) პედერასტებთან, მაგრამ ნუთუ ისე დაეფსოთ თვალები და ისე დაეხშოთ გონება მწვანეებით (!) ყველას, ხელისუფლების ჩათვლით, რომ ადამიანის ფიზიკური არსებობა და, პირველ რიგში, საკუთარი, გადაშენების პირას მყოფი ერის ბედიც არ ანაღვლებთ?! კატასტროფულ დემოგრაფიულ მდგომარეობას – ძალზე დაბალ შობადობას და ძალზედ მაღალ ემიგრაციას პედერასტებისთვის ხელშეწყობით უნდა ვებრძოლოთ?! თუ, შობადობა და ემიგრაცია სხვაა, ხოლო პედერასტია კიდევ – სულ სხვა, რომელიც არა ბრძოლას, არამედ ხელშეწყობას იმსახურებს?! აღნიშნული სამი მიზეზიდან პირველი ორი, ერის ფიზიკურ არსებობას უქმნის საფრთხეს, მესამე – პედერასტია კი ორმაგად საშიშია – იგი ერის გადაშენებასთან ერთად მის გადაგვარებასაც იწვევს. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია – შობადობას და ემიგრაციას, ორივეს ეშველება, თანაც უმოკლეს ვადებში – ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთანავე, ფეხმოკიდებულ პედერასტიას კი, ვშიშობ – არაფერი.

უნგრელი კერტბენის სურვილი კარგა ხნის ასრულებული აქვთ პედერასტებს და მათ აღარავინ სჯის. სჯიან კი არადა, ისეთ უფლებებს ანიჭებენ, სიზმარშიც რომ არ მოელანდებოდათ! მე თუ მკითხავთ, დღეს პირიქით ხდება – ზუსტად ისე, როგორც ერთ გავრცელებულ გამოთქმაშია: „იყო დრო და მომენტი...“ მგონია, რომ „შეტრიალდა მომენტი“ – ისეთი გასაქანი მისცეს ამ ცოდვის შვილებს და ისინიც ისეთი ტემპებით მიიწევენ წინ (სიმრავლითაც და უფლებებითაც), რომ ერთ მშვენიერ დღეს, შესაძლოა, ჩვენ ჩაგვთვალონ ნორმიდან გადახვეულებად და პასიური პედერასტებივით თუ არ მოგვექცნენ, და მხოლოდ ბოდიშის მოხდა იკმარეს ჩვენგან, მადლობა გვექნება სათქმელი! აი, ამ არასახარბიელო დღეში (არც მთლად თეორიულში!) რომ არ ჩავცვივდეთ, აუცილებელია პედერასტიის შემდგომი გაღვივება-გავრცელების თავიდან ასაცილებელი რიგი ამკრძალავი კანონების დროული მიღება.

როგორ დავიჯეროთ, რომ ზოგიერთი უფლებადამცველი და ხელისუფლებაში მოკალათებულნიც ვერ ხვდებიან იმ მარტივ ჭეშმარიტებას, რომ ჰომოსექსუალებისთვის „არაადამიანური“, ანუ ადამიანის მოდგმისთვის საშიში უფლებების მინიჭებით ყველა დანარჩენს ექმნება რეალური საფრთხე.

სრული წარმატებისთვის, ანუ იმისათვის, რომ საზოგადოებას თავიდან ავაცილოთ პედერასტებისგან წალეკვა, აუცილებელია აიკრძალოს ჰომოსექსუალების ნებისმიერი საჯარო ღონისძიება – მიტინგები და აღლუმები, მათი ერთმანეთში ქორწინება და სხვისი ბავშვების აღსაზრდელად აყვანა, ტელე და სხვა საშუალებებით პედერასტული ორიენტაციის პროპაგანდა და რეკლამირება; თავად პედერასტებს კი სრული უფლება მიეცეთ აირჩიონ მათთვის მოსაწონი „ორიენტაცია“, დაარსონ კლუბები, ინტერნეტ-საიტები (პროპაგანდა-რეკლამის ელემენტების გარეშე), მაგრამ არა ტელეკომპანიები ან გაზეთები, და იცხოვრონ მშვიდად საკუთარ სახლებში ყოველგვარი შიშის გარეშე.

კი მაგრამ, ეს ხომ უფლებების არნახული შეზღუდვა იქნება, ატეხენ ერთ ამბავს თავად პედერასტები და მათი, დასავლეთის ღირებულებებზე ორიენტირებული დამცველები. იქნება, უდავოდ, იქნება, ოღონდ – გამართლებული შეზღუდვა და მისასალმებელი, რომელსაც სულ ადვილად მოეძებნება უკვე არსებული (ყველა სახელმწიფოში) იურიდიული სარჩული – კანონის ძალით მკაცრად ისჯება როგორც მოწოდება, ისე, მით უფრო, ადამიანთა საზოგადოების ფიზიკური არსებობის წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი (!) ქმედება. იმას ხომ ვერ დაგვიმტკიცებენ პედერასტები, რომ მათი სექსუალური ურთიერთობები ერის გამრავლებას და დემოგრაფიული პრობლემის გადაჭრას ემსახურება! ასე რომ, თუ გული გულობს(!), ანუ **ხელისუფლების სურვილის შემთხვევაში სულ ადვილადაა შესაძლებელი უკვე არსებული კანონების მორგება პედერასტებზე და მათ დამცველებზე. ეს იქნება სწორედ ადამიანის უფლებების დაცვა, იმ ადამიანის – ქალის და კაცის, რომლებიც მოწოდებულნი და ვალდებულნიც (!) არიან გამრავლების გზით იზრუნონ ბუნების საოცრების, ღმერთის ქმნილების მოდგმის შენარჩუნებაზე!**

გავიხედოთ, ცალი თვალი მაინც გავაპაროთ ჩრდილოეთისკენ (ცალი, თორემ სრულ რუსეთუმეებად ჩაგვთვლიან) – 140-მილიონიან (!) რუსეთში განგაშის ზარები დაარისხეს – ერთის მხრივ, არასახარბიელო დემოგრაფიული მდგომარეობის და, მეორეს მხრივ, პედერასტიის ფართოდ გავრცელების გამო. პეტერბურგში, მოსკოვში და მთელ რიგ ოლქებში აიკრძალა ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა არასრულწლოვანთა შორის. მალე, ალბათ, ფედერალურ დონეზეც იქნება ეს კანონი მიღებული, რადგანაც მოსახლეობის 86 % მხარს უჭერს მას, წინააღმდეგი კი მხოლოდ 6 %-ია. მიუხედავად დასავლეთის დიდი სურვილისა, რუსეთმა, ჩიკაგოს სამიტზე კატეგორიულად არ დაუჭირა მხარი „დიდი რვიანის“ საგარეო უწყებათა მეთაურების მიერ მომზადებული განცხადების იმ ნაწილს, რომელიც სექსუალურ უმცირესობათა უფლებებს შეეხებოდა და გეების „განსაკუთრებულ დაცვას“ მოითხოვდა.

როდესაც დიდი რვიანი ასე აწვება რუსეთს, ადვილი წარმოსადგენია რა ზემოქმედებას მოახდენს დასავლეთი საქართველოზე, მაგრამ თუ ერის და, ერთგვარად, მისი სახის შენარჩუნება გვსურს, **თუ შემზღუდავ კანონებს ვერ მივიღებთ, პედერასტიის პროპაგანდის(!) აკრძალვას მაინც უნდა მივაღწიოთ რუსეთის ანალოგიურად.**

სამწუხაროდ, არც ერთ ქრისტიანულ სახელმწიფოში ეკლესია არ იბრძვის აქტიურად და ერთიანი(!) ფრონტით ჰომოსექსუალობის წინააღმდეგ, უფრო ზუსტად მათი აქტიურობის ხარისხი პირდაპირ პროპორციაშია სახელმწიფოს მიერ გატარებულ პოლიტიკასთან. ჩვენდა სავალალოდ, იგივე დღეში ვართ ჩვენც. ერთადერთი ეკლესია, საბედნიეროდ, არის რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია, რომელსაც მხარში უდგას ხელისუფლება თავისი, ჰომოსექსუალების შემზღუდავი კანონებით, ძალზე რბილი, მხოლოდ პროპაგანდის ამკრძალავი კანონებით, მაგრამ ესეც დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს იმის გავითვალისწინებით, თუ რა ანტირუსული ისტერია მოჰყვა მას დასავლეთის მასმედიაში.

ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ დასავლეთს დიპლომატიურად უნდა ავუხსნათ (იძულებული ვიქნებით, ავუხსნათ!), რომ ჩვენს საზოგადოებას ჯერ არ მიუღწევია განვითარების იმ დონისთვის, როგორზედაც დასავლეთ ევროპის (თუნდაც, აღმოსავლეთის) სახელმწიფოები და ამერიკა-კანადა არიან დღეს, რომ ჩვენი საზოგადოება მთლად ისე ინდიფერენტულად ვერ უყურებს ჰომოსექსუალებს, რომ ჩვენი ხალხი თავისი ტრადიციების (ჩამორჩენილი, ცხადია!) გავლენის ქვეშ არის დღესაც და მისთვის ძნელია შეეგუოს მაღალ თანამდებობებზე – მინისტრებად და ქალაქის მერებად პედერასტებს, უკაცრავად, ჰომოსექსუალებს, გეი-პარადებს, გეი და ლესბოსურ ქორწინება-ჯვრისწერებს (ალბათ, ახლო მომავალში აქამდეც ავმაღლდებით!), რომ ყოველივე ამის გამო ადამიანის უფლებებიც, ამ საკითხში მაინც, ცოტა სხვაგვარად გვესმის, ამიტომ **თუ არ იქნება საქართველოს მოსახლეობის ნება გათვალისწინებული და მისთვის მიუღებელ კანონებს მოვახვევთ თავს, მაშინ, ეს (სხვა მიზეზებთან ერთად)უთუოდ გამოიწვევს ანტიამერიკულ განწყობებს და მღელვარებას ქვეყნის მასშტაბით, და სახელმწიფო(!) ორიენტაციის შესაძლო ცვლასაც, რაც ნამდვილად არ უნდა შედიოდეს ამერიკის ინტერესებში.**

მივადექით მთავარ საკითხს – ჰომოსექ-



სუალებისთვის მხარდაჭერას სახელისუფლებო დონეზე. დღესავით ნათელია – **პედერასტები ვერ გაშლიდნენ ფრთებს, რომ არა მათდამი გამოჩენილი საკანონმდებლო მზრუნველობა.** კი მაგრამ რატომ, რა მოსაზრებით ტარდება ასეთი პოლიტიკა? ადამიანის უფლებების დაცვის მიზნით? რა თქმა უნდა! – გვიპასუხებენ მამათმავლებიც და მათი დამცველებიც, თუმცა აღარ აზუსტებენ თუ რა უფლებებს გულისხმობენ ისინი ამ კონკრეტულ შემთხვევაში – ადამიანის გადასაგვარებელ-გადასაშენებელი იდეების და ქმედებების დაუსჯელად პროპაგანდას და პრაქტიკაში აქტიურად დანერგვის უფლებას? მაშინ **რითი არიან ჰომოსექსუალები ადამიანის მოდგმის სხვა საშუალებებით განადგურების მომხრეებზე უკეთესები?**

იქნებ, ევროპა-ამერიკის ხელისუფალთაგან ვინმე თვლის, რომ ჰომოსექსუალიზმი სახელმწიფოს გაძლიერება-გაჯანსაღებას უწყობს ხელს, და ჩვენი წინაპრები (ცხადია, გონებაშეზღუდულნი!) ამას ვერ ხვდებოდნენ, და მხოლოდ „ცივილიზებულმა“ დასავლეთმა აგვიხილა ყველას თვალები?!

პოლიტიკოსები განსაკუთრებით უქონავენ თავს პედერასტებს წინასაარჩევნო პერიოდში – იციან, ამ მრავალრიცხოვანი და კარგად ორგანიზებული ძალის ხმები დიდ გავლენას ახდენენ არჩევნების შედეგებზე. ეს ნამდვილად ასეა დღეს, მაგრამ თავიდანვე რატომ მისცეს ფართო გასაქანი და რატომ ჩანასახშივე, როდესაც მათ სარეველასავით გამრავლებას უყურებდნენ, მაშინ არ მიიღეს სათანადო ზომები, და პირიქით, მათი ყოველმხრივ ხელშეწყობის დაკანონება რატომ მოახდინეს, და სხვა სახელმწიფოებიც რატომ აიძულეს ანალოგიური კანონები მიეღოთ?!

დავუშვათ, ამ პოლიტიკოსებს სულ არ ანაღვლებთ ჰომოსექსუალები – თავში ქვა უხლიათ და...სხვაგან კიდევ – რაც გაეხარდებათო, მაგრამ ზოგადად ხალხის, მათ შორის საკუთარი ხალხის მომავალიც არ ანაღვლებთ?! საბოლოო ჯამში ჰომოსექსუალიზმს ხომ მოსახლეობის მკვეთრ შემცირებამდე (მცირე ერები – გადაშენებამდე!), დეპოპულაციამდე მივყავართ! დიახაც, მივყავართ! სწორედ **დეპოპულაცია არის მსოფლიო პოლიტიკური ძალების მთავარი მიზანი,** და ამას, თავადაც არ მალავენ კარგა ხანია!

ორიოდ ფაქტს მოვიყვან მხოლოდ. აი, რას ამბობდა ცნობილი ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე ჰენრი კისინჯერი 1978 წელს: **„ამერიკის პოლიტიკა მესამე სამყაროს ქვეყნების მიმართ უნდა იყოს ერთი – დეპოპულაცია“!** ამერიკის თავდაცვის მინისტრი კოენი კი კონგრესის წინაშე აცხადებს (1997 წლის აპრილში): **„ბიოლოგიური იარაღის თანამედროვე ფორმები შეიძლება მიზანდასახულად იქნას მიმართული სპეციფიკური გენოტიპების წინააღმდეგ და ბიოლოგიური ომი უმართავი საშინელებიდან და ტერორიდან ვაქციოთ უაღრესად სასარგებლო პოლიტიკურ ინსტრუმენტად“!**

როცა ვიცით მსოფლიოს ბატონობაზე მაფიქრალი ამ „ბრძენკაცების“ ასეთი „ჰუმანური“ გეგმების თაობაზე, უკვე აღარც ის მეთოდებია გასაკვირი, რასაც ისინი ამ მიზნის – დეპოპულაციის მისაღწევად იყენებენ: ომები (სამოქალაქო, დემოკრატიის დამყარების თუ ტერორიზმთან ბრძოლის მოტივით წამოწყებული), შიმშილობები (ამ ომების თანამდევი), დაავადებები (ლაბორატორიებში გამოყვანილი ვირუსებით გამოწვეული თუ ნაძალადევი აცრებით გავრცელებული) და ყველაზე პერსპექტიული – „ადამიანის უფლებებით“ აღჭურვილი პედერასტობა.

მსოფლიოზე ბატონობის და დეპოპულაციის მსურველებს კარგად მოეხსენებათ მარტივი ჭეშმარიტება – **გარყვნილი, ფულზე და სექსზე (თანაც გაუკუღმართებულზე) ორიენტირებული, ნარკოტიკებით მოწამლული ურწმუნო საზოგადოების მართვა ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე მორალის მქონე, მაღალი ზნეობრივი იდეების მატარებელი, ქრისტიანული რწმენით სულით ძლიერი ადამიანების (თანაც, მრავალრიცხოვანი!) საზოგადოებისა!**

რა გამოსავალი არსებობს, მოსახლეობამ რა ზომები უნდა მიიღოს? სამწუხაროდ, ვერავითარი! როცა მამათმავლებს კანონი იცავს, ჩვენი ყველა ანტიპედერასტული ქმედება უკანონო იქნება, ზომებს მხოლოდ სახელმწიფო იღებს. **ჩვენ, მამათმავლებს კი არ უნდა დავუპირისპირდეთ, არამედ – ხელისუფლებას,** ზომები მის წინააღმდეგ უნდა მივიღოთ – შევცვალოთ იგი არჩევნების გზით! რაც შეეხება მეორე, ამერიკის პრეზიდენტის – თომას ჯეფერსონის მიერ რეკომენდებულ გზას, მას თავად ხელისუფლება ირჩევს, როცა სალი აზრი ღალატობს!

კეთილი და პატიოსანი! შემდეგ, შემდეგ რა? ყველაზე რთული და საპასუხისმგებლო შემდეგ იწყება, რადგანაც ერის ინტერესების დამცველი ხელისუფლების არჩევის უფლებას ადვილად არავინ არ მოგვცემს – ჩვენივე, იდეოლოგიურად მოწამლული და ეშმაკს სულმიყიდული თანამემამულეების გამოყენებით ყველანაირად (სამოქალაქო დაპირისპირების ჩათვლით!) ხელს შეგვიშლიან ამ იდეის განხორციელებაში. მაგრამ უკან დახევა და მომავლისთვის ბრძოლაზე უარის თქმა სიკვდილის ტოლფასი იქნება. მომავალი კი, ვფიქრობ, ისეთ ძალებს უნდა დავუკავშიროთ, რომელთაც ჩვენი არც დამონება (ხელზე მოსამსახურებად ქცევა) და არც გადაშენება არ ექნებათ მთავარ მიზნად დასახული.

წერილში ჩემს მიერ გამოყენებული ზოგიერთი სიტყვა და შედარება უხეშად მოეჩვენება მკითხველის რაღაც ნაწილს (მათ მოსაზრებას თავად მეც ვიზიარებ), მაგრამ ზედმეტმა მორიდებამ და რევერანსებით საუბარმა ე.წ. უმცირესობების (სექსუალური, რელიგიური, ეთნიკური) და სხვა თემების ირგვლივ, კარგი არაფერი მოგვიტანა. სანამ სინამდვილეს თვალს არ გავუსწორებთ, ყველაფერს თავის ჭეშმარიტ სახელს არ დავარქმევთ, სანამ „ფოთოლცვენის“ გარეშე გამართული მიტინგებით ვიტრაბახებთ და უკეთესი მომავლის მოლოდინში დასავლეთის „შეშფოთებების“ იმედზე ვიქნებით, ან სულაც – ღმერთის იმედზე მხოლოდ, და ხელის განძრევა-ტვინის გაქანებას არ მოვიფიქრებთ, მანამდე ან მგელი შეგვჭამს ან მგლისფერი ტურა – ან მომსახურე პერსონალად ვიქცევით ქართველი ერი (ოღონდ, ინგლისურის მცოდნე!), ან გადავშენ-გადავჯიშდებით, ანდა – გავიფანტებით „ცივილიზებულ“ დასავლეთში (ჯერჯერობით, ხომ სამივე ვარიანტი ხორციელდება ერთდროულად!) და ჩვენს მიწას კურთხეულს ინვესტიციების ჩამდებ უცხოტომელებს, ასე სიხარულით რომ ვეგებით ფეხქვეშ, ჩავუტოვებთ ხელში.

**იაკობ ლეჟავა**

◎ „გარღვევა“

# „გალღეტილების“ „ზედაზენის“ რუსული ტრიუმფი

**ლუდის ბაზარზე წილების ხელახალი გადანაწილების შესახებ კომპანია „ყაზბეგის“ დამფუძნებელმა გოგი თოფაძემ ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ იწინასწარმეტყველა.**

შარშან თოფაძე ბაზარზე კონკურენციის გაზრდასა და კომპანიების წილების შემცირებას ახალი მწარმოებლის „ქართული ლუდის კომპანიის“ გამოჩენას უკავშირებდა. როგორც თოფაძე ამბობდა, მისთვის ცნობილი იყო, რომ ლუდის მწარმოებელი ახალი ქართული კომპანია ბაზარზე ამბიციური გეგმებით შემოვიდა და ბაზარზე კომპანიების წილების შემცირება და ხელახალი გადანაწილება უკვე მომავალი წლიდან დაიწყებოდა.

„ქართული ლუდის კომპანია“ შარშან ბაზრის ათვისებას 3 დასახელების ლუდის წარმოებით იწყებდა, და 27 მლნ ევროს დახარჯვას აპირებდა. „ქართული ლუდის კომპანიამ“ მართლაც დათქმულ დროში დაასრულა და მარტის ბოლოს ბაზრის მოთამაშეებს შეუერთდა.

ქართულ ბაზარს სამი კომპანია „ნატახტარი“, „ყაზბეგი“ და „კასტელი“ ინაწილებდა და ისინი ბაზრის 85%-ს ითვისებდნენ, დანარჩენი კი იმპორტირებულ ლუდზე მოდიოდა. ბაზარზე დაახლოებით, 60%-ით კომპანია „ნატახტარი“ ლიდერობდა.

ახალი ქართული ლუდი „ზედაზენი“ ბაზარზე 29 მარტიდან გამოჩნდა და აგრესიული პოლიტიკით უკვე ბაზრის ლიდერობისთვის იბრძვის. სანდო წყაროზე დაყრდნობით, მისი დისტრიბუტორები იმასაც კი ცდილობენ, მაღაზიებს კონკურენტებთან დადებული ხელშეკრულებები მოაშლევინონ და ერთადერთი მიმწოდებლები თვითონ გახდნენ.

თბილისი ლუდის მოყვარულთა ქალაქია და ყოველი მეორე ლუდის „ექსპერტად“ ითვლება, გამოკითხულთა უმეტესობა უპირატესობას „ჰერცოგსა“ და „მთიელს“ ანიჭებს, „ნატახტარი“ და „ზედაზენიც“ მოსწონთ, ერთმა ლუდის მოტრფიალემ ისიც კი გვითხრა, „მთიელმა“ ერთ კვირაში ყველას ჩაუგდო გაყიდვები, ყველაზე მეტად კი „ზედაზენი“ დააზარალა, რადგან მაინც ახალი ლუდია და ტრადიციული მომხმარებელი ნაკლებად ჰყავსო.

თუმცა ქართველმა ლუდის მოყვარულებმა ისიც კარგად იციან, რომ ქართული კომპანიები ბაზ-



არზე არც ისე კეთილსინდისიერად იქცევიან და კარგი ლუდით მომხმარებელს ახალი სახეობის ლუდის გამოჩენიდან 2-3 კვირის განმავლობაში ანებივრებენ, შემდეგ კი ისე აფუჭებენ პროდუქციას, ლუდის მოყვარულებს უარესიდან უკეთესის ამორჩევა უწევთ.

მოკლედ, ლუდის ახალი სახეობების გამოჩენით ლუდის ქართულ ბაზარზე მართლაც შესაშური კონკურენცია გაჩაღდა, თუმცა თუ გავითვალისწინებთ ქართული ბაზრის თავისებურებებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ზედაზენი, რომელსაც ორი „გალღეტილი“ მინისტრი მფარველობს, ყველა კონკურენტს შავ დღეში ჩააგდებს. მოგეხსენებათ ჯერ ჩვეულებრივი მინისტრების მადა როგორია და როგორც მიხეილ სააკაშვილმა გვითხრა, ყველაზე „გალღეტილები“ ვანო და ზურა არიანო, ადვილი წარმოსადგენია, ახლა ეს ყველაზე „გალღეტილები“ რა მადისანი იქნებიან. მათ გარდა „ქართული ლუდის კომპანიას“ ბევრი სხვა მსხვილფეხოსნის დაკურება მოუწევს და უმადობას არც ერთი არ უჩივის.

„ქართული ლუდის კომპანია“ მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის ცეზარ ჩოჩელის ძმას იაგო ჩოჩელს ეკუთვნის. მისი პარტნიორები არიან პარლამენტარი კახა ოქრიაშვილი (ფარმაცევტული კომპანია „პე ეს პე ფარმა“ და კლინიკათა ქსელი „ნიუ ჰოსპიტალი“ძ და შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“, რომლის -100%-იანი წილის მფლობელი ბეჟუაშვილების „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფია“. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით კი ქართული ბიზნესის ამ ნაღებს ორი მინისტრი, ვანო მერაბიშვილი და ზურაბ ადეიშვილი მფარველობენ, თუმცა ცოტა უცნაურია, რაში დასჭირდათ ამ რანგის ბიზნესმენებს, თანაც „გალღეტილი“ მინისტრების მფარველობა. შესაძლოა, იმიტომ, რომ ახლადშექმნილი კომპანიისთვის რუსული ბაზრის უზრუნველყოფა მხოლოდ ამ წონის ჩინოვნიკებს შეეძლოთ.

უკვე ცნობილია, რომ 6-წლიანი ემბარგოს შემდეგ რუსეთის ბაზარზე პირველი „ქართული ლუდის კომპანიის“ ლიმონათი „ზედაზენი“ შედის.

კომპანიის სავაჭრო პარტნიორია რუსული კომპანია „მირ ნაპიტკოვ“, რომლის შუამავლობით რუსულ მხარესთან მოლაპარაკებები ჯერ კიდევ მარტიდან დაიწყო. კომპანიის ხელმძღვანელობა არ გამორიცხავს, რომ უახლოეს მომავალში რუსეთში ლუდი „ზედაზენიც“ გავიდეს.

სხვათა შორის, რუსულ ბაზარზე დაბრუნებას „ოპტიმა ჯგუფის“ შუამავლობით კომპანია „სარაჯიშვილიც“ ცდილობს, მაგრამ „ქართული ლუდის კომპანიისგან“ განსხვავებით, უკვე ერთი წელია, არ უმართლებს. ბოლო შანსია, „სარაჯიშვილი“ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულმა „როსპატრებნადზორის“ მიერ აკრედიტებულმა ლაბორატორიამ შეამოწმოს. მსგავსი რამ კი საქართველოს ხელისუფლების კეთილი ნების გარეშე ვერ მოხდება. თანაც უცნობია, რა პროცედურების გავლა იქნება საჭირო იმისთვის, რომ კონკრეტული ქართული ლაბორატორია „როსპატრებნადზორის“ წარმომადგენელი გახდეს.

„რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობების განახლებას“ საკუთარ დამსახურებად თვლის პოლიტიკური პარტია „თავისუფალი საქართველო“ და როგორც პარტიის პოლიტიკური მდივანი თენგიზ ომანიძე აცხადებს, მათი ინიციატივით დაწყებული მოლაპარაკებების პირველი შედეგები სახეზეა, „ქართული ლუდის კომპანიამ“ ლიმონათ „ზედაზენის“ ექსპორტი უკვე დაიწყო. მოსკოვის მაღაზიებში იყიდება „ნატახტარი“, პრაქტიკულად გადაწყვეტილია კომპანია „სარაჯიშვილის“ დაბრუნებაც რუსულ ბაზარზე. როგორც ომანიძე აცხადებს, პარტია „თავისუფალი საქართველო“ რუსულ მხარესთან მოლაპარაკებებს განაგრძობს, რათა ღვინის, ჩაის, ციტრუსის და ხილის ექსპორტიც განახლდეს.

სხვათა შორის, 2011 წლის შემოდგომაზე, რუსეთის მთავარი სანიტარი გენადი ონიშჩენკო რუსეთის ბაზრის გახსნას ქართული ღვინისა და მინერალური წყლების კომპანიებისთვის გეგმავდა, თუმცა, მაშინ, რუსული ბაზრის გარღვევა მხოლოდ „ნატახტარმა“ შეძლო და ისიც, ლიმონათით. დღეს კი ექსპორტიორებს შეემატა კომპანია, რომელიც ერთი თვეც კი არ არის, რაც პროდუქციას უშვებს, მაშინ როდესაც, შეთანხმების მიუხედავად, ქართულ ბრენდებს რუსულ ბაზარზე მოხვედრა მართლაც უჭირთ.

**მარიამ თოდაძე**

Presage.tv

◎ კიდევ ერთი მწარე სინამდვილე

# შეწყალებული პატიმრების უმეტესობას არჩევნების გასაყალბებლად ამზადებენ

(მეხუთე გვერდიდან)

— მათ მიმართ განაჩენი გამოტანილია საქართველოს სახელით. მათ მიმართ უკვე დამდგარია გამამტყუნებელი განაჩენი და ეს არ არის პირად საიდუმლოებას განკუთვნილი ინფორმაცია. კონსტიტუციის 41-ე მუხლის თანახმად, ხელისუფლებას შეუძლია გაასაიდუმლოოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც პირადი, კომერციული ან სახელმწიფო საიდუმლოებაა. შეწყალების დროს ამ ადამიანების ვინაობის გასაიდუმლოება კი არც ერთ ამ ჩამონათვალში არ ჯდება. პრეზიდენტის მიერ კონკრეტული ადამიანის შეწყალება საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად ხდება და ეს საჯარო უფლებამოსილების განხორციელებაა. შესაბამისი ბრძანებულება პრეზიდენტის საიტზე ისედაც უნდა გამოქვეყნდეს, რათა საზოგადოება დარწმუნდეს, რომ შეწყალების დროს ინდივიდუალურ პრიორიტეტს არ ენიჭება უპირატესობა, რადგან ეს არის ჰუმანური აქტი და არანაირ საიდუმლოებას არ განეკუთვნება.

**— გათავისუფლებული ადამიანები მაინცდამაინც გულახდილნი არ არიან. ალბათ, გაგიჭირდებოდათ იმ ინფორმაციის მოპოვება, რომ გათავისუფლებულ ადამიანებს საარჩევნოდ გამოიყენებენ.**

— რამდენიმე ასეთი პიროვნება ვიცი, უბრალოდ, მათ ვინაობას ვერ დავასახელებ. ერთი მათგანი ნარკოტიკებისთვის იყო ნასამართლევი და ოთხ წელზე მეტი აპატიეს. უშუალოდ ვიცნობ იმ პიროვნებებს, რომელთა შეწყალებაც მოხდა. ამიტომ, პირველწყაროზე დაყრდნობით ვაცხადებ ამას. თუ გამოძიება დაიწყება, შემიძლია მივაწოდო ის კონკრეტული გვარები და სახელები, რომლებიც ამ მოტივით შეიწყალეს. მაგალითად, დეკემბერში ერთ-ერთი პიროვნება მკვლელობის მიუხედავადაც შეიწყალეს. იგი 108-ე მუხლით იყო გასამართლებული, სულ მისჯილი ჰქონდა 15 წელი და პატიმრობის რვა წლისთავზე გაათავისუფლეს. მას რომ შევეკითხე, თუ რის საფუძველზე გაუშვეს, მხრები აიჩეჩა, პასუხი არ ჰქონდა. ეს ამბავი გორში მოხდა. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ხელისუფლებას მისი გამოყენება არჩევნებისთვის სურს. თუმცა მათ ვინაობას პირადი და საქმიანი ურთიერთობიდან გამომდინარე, ვერ დავასახელებ. ზოგიერთ შემთხვევაში, გარკვეულ ეტაპზე მათ დაცვას ვახორციელებდი და ადვოკატთა შესახებ კანონი მიკრძალავს მათ დასახელებას.

**— ალბათ, ამ პიროვნებებისთვის სხვისი გავლენის ქვეშ ყოფნა ტრაგიკულია. მათ ხომ სათავისოდ იყენებს ხელისუფლება?**

— ბუნებრივია, მათთვისაც ეს მტკივნეულია. მათთვის უხერხულია, რომ შეღავათის სანაცვლოდ, გარკვეულ თანამშრომლობას დათანხმდნენ. დღევანდელ პირობებში, 21-ე საუკუნეში, როდესაც კომუნიკაციის შესაძლებლობა მაღალ დონეზეა, არ არსებობს იმის მყარი გარანტია, რომ მათი მოქმედებების გამომჟღავნება და გაშიფვრა არ მოხდება. არჩევნების დროს, როცა გარკვეული პიროვნებების აქტიურობა დაფიქსირდება, ცხადია, ყველა დაინახავს, თუ რის საფუძველზე გააათავისუფლეს ისინი, ყველამ მაინც ყველაფერი იცის. ასე რომ, მოხდება მათი ფიქსაცია ვიდეოკამერით, ფოტოაპარატით და გაირკვევა, თუ მათი მიზანი რა არის, რატომ სჩადიან უკანონობას, რატომ ახდენენ ფსიქოლოგიურ ზეწოლას მოსახლეობაზე, ჟურნალისტებზე, რატომ აშანტაჟებენ ადამიანებს.

ამდენად, ასეთი ადამიანები ორ წყალს შორის არიან, მათთვის მთავარია თავისუფლება. თუმცა, ამავე დროს, შეიძლება, მათი ქმედება მხილებულ იქნას, რაც მათთვის და მათი ოჯახისთვის მტკივნეული იქნება. ისინი ვერც იმ პირობას შეასრულებენ, რაც ხელისუფლებას მისცეს და, ამასთან, საზოგადოებაში მათი დისკრედიტაციაც მოხდება. ჟურნალისტებზე ზეწოლის მხრივ კი ის ფაქტი მახსენდება, როცა გორში, დევნილთა დასახლებაში, მივიდნენ ადგილობრივი ჟურნალისტები და რამდენიმე ადამიანმა მოსახლეობასთან შეხვედრის უფლება მათ არ მისცა. ისინი წინ აღუდგნენ ჟურნალისტებს და გადაღება და დევნილების ჩაწერა აუკრძალეს.

**— თქვენი დაცვის ქვეშ მყოფთა უფლებების დასაცავად საპატიმრო დაწესებულებებში ხშირად შედიხართ, რა განწყობაა სასჯელაღსრულებით სისტემაში ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენის შემდეგ? რამდენად აქვთ პატიმრებს შესაძლებლობა, რეალური აზრი გამოხატონ ამა თუ იმ პოლიტიკოსის მიმართ?**

— ბუნებრივია, პატიმრებს ციხეში აზრის გამოხატვის უფლება ეზღუდებათ. მათ არ მიეწოდებათ პრესა, აკრძალულია პოლიტიკური პრესის შეტანა საპატიმროებში, თუმცა არის გამონაკლისი და მათთვის სასურველ პატიმრებს მიეწოდება პრესა. ამიტომ ეს ადამიანები ძირითადად ინფორმირებულნი არიან რადიოს მეშვეობით, იქ ობიექტური ტელევიზიების სიხშირე ვერ ვრცელდება და მხოლოდ ნაციონალური არხების ცქერა უწევთ. ამის მიხედვით, ინფორმირებულნი არიან იმ პოლიტიკურ პროცესთა შესახებ, რაც საქართველოშია. დიდი იმედი აქვთ, რომ არჩევნების გზით უნდა შეიცვალოს ვითარება და ახალი პოლიტიკური ძალის — „ქართული ოცნების“ დაპირებისამებრ, სამართლიანობა აღდგება და განაჩენების გადახედვა მოხდება.

**— საქართველოში ყველა ადვოკატი დაგიდასტურებთ, რომ 80%-ის შემთხვევაში, უკანონო განაჩენებია გამოტანილი, რომლებიც უტყუარ მტკიცებულებებს არ ეფუძნება.**

**ეს, ალბათ, აისახება პატიმრების მიერ საპატიმროებში გაკეთებულ არჩევანზე?**

— რა თქმა უნდა, აისახება, მაგრამ ყველა პატიმარს არ აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში, ამის უფლება ნაკლებად მძიმე დანაშაულში მხილებულ პირებს ეძლევათ, რომლებიც 5 წლამდე იხდიან სასჯელს. ასეთი კი ციხის პირობებში 5-6 ათასამდე ამომრჩეველია. თუმცა, ხელისუფლება ამ ადამიანებზე ზეწოლის ბერკეტებს აუცილებლად გამოიყენებს, მათ შორის, ე.წ. „მაყურებელთა ინსტიტუტის“ ჩათვლით.

**მანანა ნოზაძე**

## დედამიწის ზურგზე



**„სუპერმაძსი“ ბუტისთვის: აშშ-ში გასამართლებულ რუსეთელს აგზავნიან გამოუსწორებელი ტერორისტების სპეციალურ ციხეში**

**პატიმრობის თავისი 25 წლის ვადა ვიქტორ ბუტმა უნდა გაატაროს ცალკე კამერაში, რომლის ფართობიც 8 კვადრატული მეტრია, სპეციალურ ციხეში, რომელსაც „მთის ალკატრასს“ უწოდებენ, კოლორადოს შტატში. ეს ერთადერთი ამგვარი ციხეა ამერიკის შეერთებულ შტატებში. მის დაახლოებით 360 პატიმართა შორის არიან ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე სახიფათო დამნაშავეები — ტერორისტები, მაფიოზები.**

* * *

**გვატემალაში აღმოაჩინეს მაიას ახალი კალენდარი, რომელმაც აპოკალიფსი შვიდიათასი წლით „უკან გადასწია“**



**ახალი კალენდარი შეიქმნა IX-ე საუკუნეში და დღეისთვის ამ ძველი ცივილიზაციის ყველაზე ძველი აღმოჩენილი კალენდარია. სხვა ამგვარი დოკუმენტებისგან განსხვავებით, ის არ შეიცავს მითითებებს სამყაროს მოახლოებულ დასასრულზე, რომელიც, როგორც მიაჩნიათ, უნდა დაიწყოს 2012 წლის 21 დეკემბერს.**

* * *

**თვითმფრინავის კატასტროფა ინდონეზიაში: გამოაქვეყნეს პირველი ვიდეო, რუსეთში ტრაგედიაში ბრალს მფრინავებს სდებენ**



**პარასკევს დილით დედამიწის სამძებრო-სამაშველო ჯგუფმა დაადგინა რუსული ლაინერის ნამსხვრევების ადგილსამყოფელი სალაკის მთის კლდეზე, მდინარე სიაპუსის მახლობლად.**

* * *

**ესპანურმა ფირმამ მოიფიქრა „პროსტიტუციის კურსები“**

**სულ რაღაც ას ევროდ მსურველებს გააცნობენ უძველესი პროფესიის ისტორიას, ასწავლიან გამოიყენონ ეროტიკული სათამაშოები და ყველაზე პოპულარული პოზები კამასუტრიდან. კათალიკოსები გაოცებული არიან.**



№88. შაბათი, 12 მაისი, 2012 წელი.

# „დანარჩენი ბუერის ფოთლებმა თქვან!..“

***თემურ ჩალაბაშვილისთვის პოეზია მთელი ცხოვრებაა — „რაც მზისთვის სხივებია, დილისთვის — მამლის ყივილი, მინდვრისთვის — ჯეჯილი, ბალახი, ფოთოლზე წვიმა-ნამის მძივები რომ მოეფინება. პოეზია სუნთქვაა, ჩემი არსია“... — მეუბნება და სევდაგამკრთალი თვალებით მიყურებს... ექვსი ათეული წელი სულისთვის რა არის? მით უფრო, როცა პოეტური სილაღე ასაკს კი არ ჰმატებს, პირიქით — ახალგაზრდული აღმაფრენით ალავსებს. ამ აღმაფრენის გარეშე, თემურ ჩალაბაშვილი ვერ წარმომიდგენია... მაგრამ იმავდროულად — სამშობლოზე ფიქრით, დარდით, ტკივილით დამძიმებული... რაღაცით თავის ლექსს „სანთელსაც“ რომ ჰგავს... იწვის და ჭირისუფლობს საქართველოს! — ეს ჭირისუფალი დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია. პირველი შეკითხვაც „სანთელის“ ხსენებით დავიწყეთ...***

**— როგორ დაიწერა ლექსი „სანთელი“? განსაკუთრებული ისტორია ხომ არ უძღვის?**

— ეს ლექსი მე-2 კურსზე ყოფნისას შეიქმნა. სიცოცხლეში არ დამავიწყდება, რომ პირველად უნივერსიტეტში წავიკითხე. მაშინ ახალგაზრდა მწერალთა წრეც არ არსებობდა. ესწრებოდნენ პოეტები და, მათ შორის, აცხონოს ღმერთმა, თედო ბექიშვილი. არ დამავიწყდება, თავზე გადამისვა ხელი და მითხრა, ბრწყინვალე ლექსიაო. გავიდა ხანი, შოთა ნიშნიანიძე შემხვდა ყოფილ გამომცემლობა „სამშობლოსთან“. თითქოს ახლაც ჩამესმის მისი ხმა — ეს ლექსი ილია ჭავჭავაძის და ჩემ „სანთელზეც“ კი უკეთესიაო. სამი თვე არ მძინებია. იმდენად განვიცადე ამ ბუმბერაზი პოეტის შეფასება, კინაღამ სიცხე მომცა.

მაშინ რევაზ მიშველაძე გვიკითხავდა ლექციებს. ტელევიზიით წაიკითხა „სანთელი“ და დასძინა, აი, როგორი პოეტები მოდიანო... არც ამის დავიწყება შემიძლია.

ადამიანების მსგავსად, ამ ლექსსაც თავისი ბედი დაჰყვა — მრავალგან გამოქვეყნდა, ისე რომ, ხშირად არც ვიცოდი, სად იბეჭდებოდა... მერე სიმღერად იქცა. გასაოცარია, 5-6 სიმღერა მაინც დაიწერა „სანთელზე“, ცალკე — ხალხურიც. ნანა ბოჯგუამ აამღერა და ულამაზესად გალობენ მეგრელი გოგონები. სპეციალურად „სანთელი“ უწოდეს კასეტას. ერთმა ძალიან კარგმა გოგონამ ბრწყინვალედ შეასრულა. ამ ბავშვს უკანა ფშავში მოხუცებული კაცის ფანდურზე ნამღერი მოუსმენია. შემდეგ ხალხურმა ანსამბლმა შეცვალა და თავისი ნიუანსები შეიტანა. დღემდე არ ვიცი, ვინ მისცა იმ მოხუცებულს ეს პატარა ლექსი, მაგრამ თავისთავად მისი ამღერებული ძალიან მესიამოვნა.

შემდეგ ალექსანდრე ბასილაიამ კლიპი გადაიღო სანთელზე, რომელსაც სამი თაობის „ივერია“ მღერის, გადაცემაც მიეძღვნა.

ერთ-ერთმა მოძღვარმა ეკლესიაში „სანთელი“ აკურთხა და იმის უფლება მისცა, ხატებთან დაედოთ. ჩემი ქიზიყის მიწის დაფიცებით გეუბნებით, რომ არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია, თავისით ვრცელდება ეკლესიაში.

იგივე ბედი ხვდა ლექსს შუშანიკზე — „ო, დედოფალოს“, რომელიც ოქრომკერდით ამოქარგულია მეტეხის ტაძარში. ამ ფაქტს ძალიან კარგი წერილი მიუძღვნა ლევან ბრეგაძემ.

შუშანიკის 1500 წლის იუბილეზე კი აკაკი შანიძის სიტყვას წაუმძღვარეს ჩემი ლექსი. მაშინ სტუდენტი ვიყავი. ასეთი წარმატებული რაღაცები, ვფიქრობ, უფლით მოვიდა, აბა სხვანაირად ლექსი როგორ იწერება?.

**— დიდი პოპულარობით სარგებლობს თქვენს ლექსზე შექმნილი სიმღერა „ალსდექ საქართველო, მართლმადიდებელო!“, რომელსაც თემურ წიკლაური ასრულებს.**

— ფილარმონიაში საღამოს გამართვას აპირებენ. პროგრამა ჯემალ ბაღაშვილმა შეადგინა. ჩემგან ელოდნენ ლექსს, რომელსაც თემურ წიკლაური შეასრულებდა.

დაკვეთით ვერ ვწერ, მაგრამ ზოგჯერ შეიძლება ფიქრი აგაყოლოს რაღაცამ. ვერაფრით ვერ მოვიგდე გონებაში რაღაც ისეთი, რომ ეს ლექსი დამეწერა... ბოლოს მივედი ჟურნალისტ ბავშვებთან ერთად თურქეთში წასვლა მომიწია. ჩვენს საოცარ მიწა-წყალზე — ტაო-კლარჯეთში მივედით. სიღნაღს ჰგავს თაღებივით ჩამოკიდებული ქალაქი ართვინი... დავდივარ, ვათვალიერებ. რა დამავიწყებს, როგორ გავიხადე ფეხსაცმელები და ფეხშიშველა ვიარე. იქ, ართვინში, სასტუმროს ნომერში დაიწერა ეს ლექსი.

ჩამოვედი თუ არა, მივვარდი ჯემალთან და ლექსის დაწერის ამბავი ვახარე. სტრიქონი კი არა, წერტილი არ შეცვლილა. ერთიანად შემძრა — მიწის ძახილი თუ იყო. მანამდე იმ მიწაზე ფეხი არ დამედგა, და პირველმა განცდამ სული ამიფორიაქა. ასე შეიქმნა ეს სიმღერა. მერე ოპერაში იმღერა თემურმა. ჩემი მეუღლე და ახლობლები ამ კონცერტს ესწრებოდნენ. უნეტარესის სიახლოვეს მოხვდნენ. მეუღლემ მიამბო, როგორი განცდით უსმენდა სიმღერას უწმინდესი — ცრემლებით სავსე ჰქონდა თვალებიო. კონცერტის შემდეგ უნეტარესის ინტერვიუ გამოაქვეყნეს — ეს სულიერების საღამო იყო და საქველმოქმედო თანხა ლტოლვილებისთვის გადაირიცხებაო. თემურ ჩალაბაშვილის ლექსი მართლმადიდებლობის ჰიმნიაო.

ეს დიდი ბედნიერება და განცდა დამაქვს ისე, ცოტა მაშფოთებს და მაფორიაქებს.

**— თქვენი ლექსი დალის ხეობაში, ქართველი ჯარისკაცის საფლავზე ამოტვიფრეს...**

— ერეკლემ მახარა ეს ამბავი — რომ დავხედე, ჯერ დარდმა შემიპყრო, მერე სიხარულმაო, ჩემი მეგობრის ლექსია-მეთქი...

კიდევ უფრო საინტერესო სხვა ამბავია. ზურა ქაფიანიძე რომ გარდაიცვალა, ერთსტროფიანი ლექსი დავწერე. ზურა ამოღებული ხმალი იყო:

**„ვერ გაცეკვეს მეფის კარზე,**
**ვერ შეგცვალა დრომო.**
**საქართველოს ბედ-იღბალზე**
**მოღრიალე ლომო!“**

ახმეტელის თეატრის ცნობილ მსახიობს გია ჯაფარიძეს რაჭაში ქვა უპოვია, ეს ლექსი ამოუტვიფრავს, მიუტანია და დიდუბეში დაუდვია. კიდევ კარგი, ჩემი სახელი არ აწერია, თორემ იფიქრებდნენ, მე ვიპოვე და მივიტანე იქ. სასაფლაოს დირექტორს ბადრი ქუთათელაძეს ვუთხარი, უხერხულია-მეთქი. ზურას შვილს უთქვამს, საფლავის ქვაზე უნდა გადავიტანოო. ჩემი სახელი და გვარი არ აწერია, მაგრამ განვიცადე. ძალიან მეუხერხულა. მერე მოაგონდა, თურმე გრიშაშვილი საფლავებისთვის ეპიტაფიებს წერდა და ამით ცხოვრობდა. გარდაცვლილის სახელსა და გვარს ეტყოდნენ, შექმნიდა ლექსს და მერე საფლავის ქვაზე აწერდნენ.

**— 21-ე საუკუნეა. გლობალიზაციის შემოტევის ჟამს, როდესაც ქართულ სიტყვას, ეროვნულ ფასეულობებს საფრთხე ემუქრება, რა უნდა იყოს პოეტის მოვალეობა?**

— ამ გლობალიზებულ ხანაში, როდესაც თითქმის ყველაფერი დაკარგვის ზღვარზეა, ეს პოეზიაშიც იგრძნობა. როგორ შეიძლება, ლექსს ეპოქის კვალი არ აჩნდეს, მაგრამ იმ დროს, როცა სიტყვა პატრიოტიზმი უკვე ლექსიკიდან ამოვარდნილია, ალბათ, ზოგჯერ სასაცილოა ბევრის პატრიოტიზმიც.

პოეტი პოეტია ყველა საუკუნეში, ყველა დროში და ქარცეცხლში. პოეტის მოვალეობა მაინც სინათლისაკენ, სიმართლისაკენ და აზროვნებისაკენ სვლაა.



ერთ ლექსში ვწერ, შეიძლება ლექსითაც დაამარცხო ხანდახან მტერი-მეთქი. პოეზიას ყოველთვის თავისი ადგილი უნდა ეკავოს. რასაკვირველია, განცდის პოეზიაც იქმნება.

არ დამავიწყდება, ერთხელ ქალბატონმა ანამ თქვა: ძალიან კი ცივა, მაგრამ გაზაფხულსაც ხომ ვერ გადაიტანს იქით ჩვენი პარლამენტიო? ჭეშმარიტ ლექსს და პოეზიას ვერაფერი შეცვლის. რასაკვირველია, ფერს გაუფერმკრთალებს, რადგან მკითხველს დაუკარგავს — უფრო ნაკლები ადამიანი დაინტერესდება, მაგრამ ის მაინც გულის გულში იქნება და ვინც უნდა შეძრას, მაინც შეძრავს.

**— როგორი უნდა იყოს პოეტი თუნდაც გარეგნობით, ცხოვრების წესით?**

— ალალად გპასუხობ — ისეთი, როგორიც მე ვარ! არაფრად მიმაჩნია ფული და მატერიალური სიმდიდრე. რაიმე ადამიანური განა ჩემთვის შორს არის, მაგრამ დრო ვერ მამცრობს. თამამად ვამბობ, პოეტურად ვცხოვრობ... ქუჩა-ქუჩა ვხეტიალობ, ხან ხიდზეც წამოვწოლილვარ — ვორონცოვზე... მტრედების გუნდისთვის მიყურებია. ხან ბავშვები მიმყავს ჩემს პატარა ქოხში, ვაქეიფებ და ასე ვცხოვრობ.

წვიმაში სხვანაირად დავინახე მშრალი ხიდიც და ლექსი დაიწერა.

**— დღეს თავისუფალმა სალექსო ფორმამ წამოიწია წინ. ე. წ. ტექსტები მომრავლდა. ამ სალექსო ფორმის მომხრეთა არგუმენტი ასეთია, დრო მოითხოვს მძაფრ განცდებს და რითმიანი ლექსის სილამაზე და მუსიკა პოეტს სათქმელს უკარგავსო...**

— გავიხსენოთ ჩვენი იამბიკოები და საგალობლები — თავისუფალი სალექსო ფორმა არ არის? რამხელა კამათი ჰქონდათ ამ თემაზე მამუკა წიკლაურსა და შოთა ნიშნიანიძეს: ყველა ფორმა დასაშვებია, რომელიც ჭეშმარიტი პოეზიაა, აქვე ერთსაც ვიტყვი: შეიძლება გემოვნებადაქვეითებულ კაცად ჩამთვალონ, მაგრამ 60 წლის რომ გახდები და შენი ერთი ლექსი ზეპირად არავინ იცის, უკვე აღარ ხარ პოეტი!

არც ის შეიძლება, ყველა ლექსი ამინდზე გამოაქვეყნო... ვინ იცის, ვაჟა-ფშაველას ქურაში რამდენ სტრიქონს გამოუვლია და ღამეები უთენებია, მაგრამ რაც გამოიტანა ჩვენთვის, პოეზია ისაა... რამდენჯერ ვცადე და თავისუფალი ლექსიც დაიწერა, მაგრამ მაინც რითმიან ლექსს ვამჯობინებ... თუმცა ზოგჯერ ისეთი საინტერესო სათქმელია, ერთ კარგ მეტაფორას მიაქვს ლექსი, და არა — პოეზიას... ის მეტაფორა, ის სათქმელია უმთავრესი. ამიტომ ამ შემთხვევაში რითმამ შესაძლოა სათქმელი, მართლაც, დაკარგოს... საინტერესო ხმები მოდის ქართულ პოეზიაში, მაგრამ უფრო მეტნი ტელევიზიისა და გამოჩენის პოეტებად იქცნენ. ვფიქრობ, კარგი ლექსი არასდროს არ დაიკარგება და გამოძახილი თავისით ხდება. 60 წლის გადასახედიდან არასოდეს მიცდია რედაქციები ამეტალახებინა. რამდენიმე ლექსმა თვითონ იპოვა გზა მკითხველის გულისკენ. სიმღერებიც ასე დაიწერა. 20-მდე ლექსი ამღერდა... ჭეშმარიტ პოეზიაზე ვერანაირი ამინდი და პოლიტიკა ვერ მოქმედებს. სულის დასანაყრებლად საკვებს შემოქმედებითი საზრდო მაძლევს.

**— დღევანდელობა საქართველოს ისტორიის რომელ ეპოქას გაგონებთ?**

— ჩვენ ახლა ყოფნა-არყოფნის ზღვარზე ვართ. ისეთი ეპოქაც იყო, მესხეთის, ასპინძის მხარე რომ ჩაბარდა. რა მტკივნეული პერიოდია — სამხრეთ საქართველოსთვის უმძიმესი დროა, რატომღაც გამორჩათ ივანე ჯავახიშვილს, ჩვენს დიდ ისტორიკოსებს... ამ პერიოდის ისტორია მწირად არის გადმოცემული. ამაზე ხშირად მიფიქრია.

გადახედეთ საქართველოს რუკას — როგორი დამცრობილია... რა დავრჩით? პატარა შვილიშვილს დავუწერე ეს ლექსი:

**„ეგ სახელი შეიფერე**
**და იცხოვრე ლუკასავით...**
**არაფერმა არ დაგამცროს**
**საქართველოს რუკასავით“...**

**— რა არის პოეტისთვის სიყვარული?**

— სიყვარული პოეტისთვის პურია, ხმიადი პურიც კი. ჩემთვის ახლიდან დაბადებაა.

ამბობენ, სიყვარული მარადიულიაო. აგერ რუსთაველი გვეუბნება — გული ერთსა დააჯეროსო... ნამდვილი სიყვარული მართლა ესაა... ხან მგონია, იმდენი რამ და ვინმე გიყვარს, ვერ რომ პასუხობ რუსთაველის საოცარ სიყვარულს. ეტყობა, რაც უნდა დიდი იყოს შემოქმედი, სიყვარული ინდივიდუალური გრძნობაა.

**„დავალ, დაგეძებ, როგორც**
**წარმართი**
**და შენი ხილვის ჟინი მაწამებს...**
**მოდი და თუნდაც გული წამართვი,**
**ან სიყვარული გადამასწავლე!“**

სიყვარული გადამასწავლე!... არ ვიცი მისი განსაზღვრება... და არც არავის მოუძებნია დედამიწაზე, რადგან ყველას თავისი სიყვარული აქვს.

პოეტები, რომლებიც ქალს ეტრფიან, უფრო სულიერად წარმოსახავენ. გალაკტიონის, ფიროსმანის მაგალითი ავიღოთ. ფიროსმანის ბედი დღესაც მტანჯავს. ყველაფერი შესწირა ქალს, რომელთანაც არავითარი სიახლოვე არ ჰქონდა. რაც ჰქონდა, მარგალიტას მიართვა.

როდესაც გადაწყდა, ფიროსმანის ნიშა მთაწმინდაზე დაგვედო, მხატვრებმა ერთი ამბავი ატეხეს, პრივილეგია ერთ ნამუშევარს რატომ მივცეთო. ესკიზებს შევქმნით, რომელიც გაიმარჯვებს, ის დაიდგასო. მე, როგორც იდეის ავტორს, მომიხდა მათთვის პასუხის გაცემა: ვუთხარი, იქნებ იდეაც დაიწუნოთ-მეთქი? არაო... მაშინ თქვენ იყავით კომისიის თავმჯდომარე, ფიროსმანის ნახატებიდან რომელიც გაიმარჯვებს, ის ავიტანოთ მთაწმინდაზე-მეთქი. მაგალითად, „მარგალიტას“ რეპროდუქცია რატომ არ უნდა იყოს იქ, და რატომ უნდა იყოს სხვა მხატვრის მიერ შესრულებული ნამუშევარი-მეთქი?

დაბოლოს, მაინც ვიზეიმეთ ფიროსმანის ნიშის საფუძვლის ჩაყრა. 2010 წლის ხარება დღეს ვიქირავეთ ფაეტონი. ავავსეთ წითელი ვარდის თაიგულებით, ფაეტონში მე და ანზორ მაძღარაშვილს გვეჭირა ფიროსმანის „მარგალიტას“ რეპროდუქცია. ასე რომ, ნიშასთვის საფუძველი უკვე ჩაყრილია. საუკუნის საქმეა ფიროსმანის ნიშის მთაწმინდაზე ატანა.

აი, როგორ დავუკავშირე სიყვარული ფიროსმანს. მთელი ცხოვრება ამ სიყვარულს შესწირა.

**— როგორ მუშაობს პოეტი თემურ ჩალაბაშვილი? ლექსი როგორ იწერება?**

— აზრზე არა ვარ... არ არის განსაზღვრული. თუ ერთი სტრიქონი წამოვიდა, ჩათვალე, რომ ლექსიც დაიწერება... და ასე დავატარებ გონებით. მერე უცებ გადამაქვს ფურცელზე. ძილღვიძილის დროს, ვინ იცის, რამდენ სტრიქონს ვკარგავთ. თუ მაშინვე არ ჩაიწერე, მერე ვეღარ გაიხსენებ.

ამას წინათ, წამომცდა: ეს ვინ ყოფილა — მამა სასწაული, დედა — დღესასწაული-მეთქი. კინაღამ „დავკარგე“ — ჩაწერილი... უცებ წავაწყდი. ისე გამიხარდა, მეგონა მილიარდი ვიპოვე... ვითიშები, სტრიქონი, ლექსი რომ მეკარგება.

**— როგორი უნდა იყოს პოეტის დედა?**

— ხშირად მეკითხებიან — თქვენ თბილისელი ხართ? ერთხელ ისიც ვიხუმრე, თუ თბილისს არ ამახინჯებ, უკვე თბილისელი ხარ-მეთქი. თუ არ უხდები, ნუ დაამახინჯებ! დედაჩემი და მამაჩემი თავიდან აქ ცხოვრობდნენ, მაგრამ საბოლოოდ სოფელში დაბინავდნენ... სიბერე სოფლად მოუწიათ... თბილისშიც ხშირად ჩამოდიოდნენ. მამაჩემს ისე უყვარდა ვერა!..

მაგრამ გეტყვით, რა არის დედა ჩემთვის — ყოველთვის მიგზავნიდა ნობათს სოფლიდან, რომელსაც მუდამ ახლდა სველი ვარდის თაიგული. იცოდა, რომ ვარდები მიყვარდა, ან... სად კრეფდა ისეთ ხასხასა ვარდებს?

მამა ცოცხალი მყავს, ღმერთმა აცოცხლოს დიდხანს! მათ ერთმანეთი ძალიან უყვარდათ, უერთმანეთოდ ვერ ძლებდნენ. დედაჩემის გარდაცვალების შემდეგ მამაჩემმა იგივე გააკეთა — ნობათი გამომიგზავნა ოღონდ... ვარდები აკლდა ამ ნობათს... მაშინ ვთქვი სწორედ — მამა ყოფილა სასწაული, დედა კი — დღესასწაული-მეთქი. ყველაფერი დედაჩემივით ჩაეწყო — კახური პური, ინდაური, ჩურჩხელები... იმ ნობათს დედაჩემის ხელით დაკრეფილი ვარდები აკლდა მხოლოდ.

დაახლოებით 45 წელია თბილისში ვცხოვრობ, და ეს ხდებოდა ყოველ ზამთარ-ზაფხულს.

დედაზე პატარა ლექსი დავწერე:

**„დარჩები მარად გაურიყავი,**
**შენ ძველებურად ალბათ**
**მორცხვი ხარ...**
**ადრე ხომ ჩემი დედა იყავი,**
**ახლა პატარა მიწის ბორცვი ხარ“...**

დავტოვე სოფელში პატარა მიწის ბორცვი და წამოვედი. ყოველდღე ვეღარ ჩავდივარ იქ, მაგრამ სანთელს ვუნთებ და შევთხოვ უფალს, რომ იმქვეყნად ილოცოს... არავინ არ თქვას, რომ დედას ასაკი ჰქონია. ერთ ჭკვიან კახელს, თელაველს ჰკითხეს — დედა რა ხნის მოგიკვდაო? რა ხნის იყო და დედის ხნისაო, — უპასუხა.

სხვა რა გითხრათ, სევდა მომეძალა... როგორც ილია ჭავჭავაძე ამბობს, დანარჩენი ბუერის ფოთლებმა თქვანო...

ესაუბრა
**თამარ შაიშმელაშვილი**

◉ წინ, საქართველო!

# სლოვენიაში ქართულ საქმეს აკეთებენ



**ხვალ 13 მაისია — ქართული ფეხბურთის აღზევებისა და დაცემის დღე.**

ადვილი შესაძლებელია, კეთილისა და ბოროტის მარადიულ ბრძოლაში ამჯერად დადებითი დაწინაურდეს, რამეთუ 17-წლამდელმა „ჯვაროსნებმა" სლოვენიაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე მეორე ადგილი დაიკავეს და მაინცდამაინც 13 მაისს ნახევარფინალში ჰოლანდიელ თანატოლებს შეხვდებიან. მეორე წყვილი გერმანელებმა და პოლონელებმა შეადგინეს.

**საქართველო ისლანდია 1:0**
**გოლი:** დარციმელია.

ამ ბიჭებმა უკვე თქვეს ომახიანი სიტყვა, როცა თბილისში გამართულ ელიტ-რაუნდში ესპანეთს, ინგლისსა და უკრაინას გაუსწრეს, ხოლო ბალკანეთში გერმანელებსა და ფრანგებს გაუწიეს ღირსეული წინააღმდეგობა.

თუმცა, ხომ იცით, რა გამოლევს ჩასაფრებულებს და ბოღმიანებს, რომლებიც ვასილ მაისურაძეს მრისხანე მეტოქეებთან საბრძოლველად შერჩეულ ტაქტიკას უწუნებდნენ — აქაოდა შეგირდებს დაცვით ფეხბურთს ათამაშებსო. ისლანდიელებთან გამართულმა ყოფნა-არყოფნის მატჩმა დაადასტურა, რომ ახალგაზრდა მწვრთნელს არსენალში აქტიური სტრატეგიაც ჰქონია. ასე რომ, დავფიქრდეთ განსჯისას — ემანდ დაუმსახურებელი შეფასებებით სასიკეთო საქმეს მანკიერი მიმართულება არ მივცეთ.

და კიდევ — მადლობა გერმანიას, რომელმაც ფეირ-პლეის პრინციპები დაიცვა და სამართალს პური აჭამა.

◉ ოლიმპიზმი

# ბერძნებმა ოლიმპიადის ჩირაღდანი აანთეს



**სხვადასხვა ქვეყნის საპატიო სტუმრების თანდასწრებით უძველეს ოლიმპიაში ლონდონის XXX ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ცეცხლი აანთეს ტრადიციულად პარაბოლური სარკის დახმარებით. ამჟამინდელი თეატრალიზებული ცერემონია ბევრად მასშტაბური გამოდგა, ვიდრე წინა თამაშებისა. ღონისძიებაში ბერძნული საცეკვაო და საბალეტო სკოლების 14 ვაჟ მოცეკვავეთა და სამი ბავშვთა ჯგუფი მონაწილეობდა.**

ჩირაღდნის ანთების ცერემონიალის დამთავრების შემდეგ ოლიმპიურმა ცეცხლმა 11-კვირიანი ესტაფეტა დაიწყო. საბერძნეთის, დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის მოვლის შემდეგ იგი ლონდონის ოლიმპიურ სტადიონზე აგიზგიზდება.

◉ ჭადრაკი

# ორი პრიზი ქართველებს



**100 წელი შესრულდა სახელოვანი დიდოსტატის, მრავალგზის მსოფლიო ჩემპიონის მიხეილ ბოტვინიკის დაბადებიდან. ამ თარიღს მიეძღვნა სანკტ-პეტერბურგში ეტიუდისტთა საერთაშორისო კონკურსი, რომელშიც 20 ქვეყნის წარმომადგენელთა 102 ნაწარმოები მონაწილეობდა. ჟიურიმ პირველი პრიზი ლევან ბრეგაძისა და დავით გურგენიძის ერთობლივ ეტიუდს მიაკუთვნა. მეორე პრიზი იქნან აფეკს (ისრაელი), ერგო, მესამე-მეხუთე ადგილები იან ტიმანმა (ჰოლანდია), სერგეი დიდუხმა და ედუარდ ეილაზიანმა (ორივე — უკრაინა) გაინაწილეს. ეტლების ორიგინალური ეტიუდისთვის ცალკე პრიზი ხვდა დავით გურგენიძეს, ორმხრივი ორიგინალური ცუგცვანგისთვის იური აკობიას ნაწარმოები ცნეს საუკეთესოდ.**

ცოტა რამ გამარჯვებულთა შესახებ: დავით გურგენიძე საჭადრაკო კომპოზიციებში საერთაშორისო დიდოსტატია, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი და მრავალგზის პრიზიორი, უამრავი წიგნის ავტორი. ლევან ბრეგაძე ცნობილი მწერალი გახლავთ, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ლიტერატურის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, რომელიც წლების განმავლობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სდასუ-ში კითხულობდა ლექციებს. ბატონი ლევანი ბავშვობიდან ყოფილა გატაცებული ჭადრაკით, საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადაზეც უასპარეზია. სწორედ იქ ნათამაშები ერთი პარტია შემორჩენია გონებაში, რომელსაც 30 წლის შემდეგ მიბრუნებია და საეტიუდო სვლებისთვის მიუგნია. ისტორია ერთ-ერთ გაზეთში დაუბეჭდავს, როგორც საჭადრაკო ნოველა.

— ორი წლის წინათ დიდოსტატი დავით გურგენიძე დამიკავშირდა, — იხსენებს ლევან ბრეგაძე, — თქვენი ეტიუდი გადავამუშავე და, თანახმა იქნებით, რომელიმე კარგ კონკურსზე წარვადგინოთო. როგორ არ ვიქნებოდი თანახმა? ბატონმა დავითმა შთამბეჭდავი ფინალი მოიფიქრა.

ასე შეიქმნა ერთობლივი ეტიუდი, რომელმაც სანკტ-პეტერბურგის საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა. ავტორებს წარმატებას ვულოცავთ!

**ლექსო ცინცაძე**

**სურათზე:** მარცხნიდან — ლევან ბრეგაძე და დავით გურგენიძე.

**ვაჟა დანელიას ფოტო.**

◉ რაგბი

# უკრაინელებს თბილისში დავუხვდებით

**ბორჯღალოსნებს ევროპის ერთა თასის წლევანდელი გათამაშება დნეპროპეტროვსკში უკრაინელებთან შეხვედრით უნდა დაეწყოთ, მაგრამ თებერვლის დიდთოვლობის გამო მატჩი 9 ივნისისთვის გადაიდო.** მოხდა ისე, რომ ქართველი მორაგბეები ერთ თვეში ტესტ-მატჩების გასამართავად ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში გაემგზავრებიან. პაექრობებისთვის მოსამზადებლად ქართველებს ხელი რომ არ შეშლოდათ, უკრაინულ მხარესთან მოლაპარაკებითა და ფირა-აერ-ის ნებართვით ჩვენები უკრაინელებს (შარშანდელი ორთაბრძოლა ქართველებმა 63:3 მოიგესძ თბილისში დაუპირისპირდებიან. მანამდე კი 19 მაისს რუსეთ-ესპანეთის გადადებული მატჩი ჩატარდება.



**სადღეისოდ 2011-2012 წლების ერთა თასის ჯამური ცხრილი ასეთია:**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| **საქართველო** | 9 | 8 | 0 | 1 | 283:80 | 37 |
| **რუმინეთი** | 10 | 6 | 0 | 4 | 302:108 | 32 |
| **ესპანეთი** | 9 | 5 | 0 | 4 | 188:234 | 24 |
| **პორტუგალია** | 10 | 4 | 0 | 6 | 215:230 | 21 |
| **რუსეთი** | 9 | 4 | 0 | 5 | 171:220 | 20 |
| **უკრაინა** | 9 | 1 | 0 | 8 | 121:408 | 5 |

**გივი გაგუა**

◉ კალათბურთი

# გაცოცხლდება ინტრიგა?

**დღეს თბილისის სპორტის სასახლე სუპერლიგის ნახევარფინალური სერიის მესამე და, ადვილი შესაძლებელია, უკანასკნელ შეხვედრებს უმასპინძლებს, რადგან ფავორიტები მეტოქეებს 2:0-ს უგებენ და, თუ ძალთა შეფარდებას გავითვალისწინებთ, ალბათ, დღესვე მოიპოვებენ პლეი-ოფის გადამწყვეტ რაუნდში თამაშის უფლებას.**

**„არმია" — „სოხუმი" 89:62**

პირველი მატჩისგან განსხვავებით, ქვეყნის მოქმედმა ჩემპიონმა დებიუტშივე მოგუდა ზღვისპირელები და რიჩარდსონის (30 ქულაძ ძალისხმევით დიდი ნაბიჯი გადადგა ტიტულის შენარჩუნებისკენ, ლტოლვილთა კლუბს კი, უბრალოდ, ფიზიკური და ფსიქოლოგიური რესურსები არ ეყო მასზე გაცილებით ძლიერ მოწინააღმდეგესთან ზედიზედ ორჯერ ღირსეულად გასამკლავებლად. მაქსიმუმი, რაც მათ მოახერხეს, ერთ ეპიზოდში სხვაობის 10 ქულამდე შემცირება იყო.

**„ქუთაისი" — „ოლიმპი" 67:76**

რიონისპირელებმა ამჯერადაც ბოლომდე იბრძოლეს წარმატების მისაღწევად, მაგრამ ხომ გსმენიათ — „ძალა აღმართს ხნავსო". მართლაც, ეროვნული ნაკრების უკანახაზელთა — გამყრელიძისა (22 ქულაძ და ცინცაძის (12 ქულაძ ინდივიდუალური ოსტატობა საკმარისი აღმოჩნდა გასამარჯვებლად. არადა, შეგახსენებთ, რომ ამ გუნდების შეხვედრებში რეგულარულ სეზონში უპირატესობას დავით უსტიაშვილის შეგირდები ფლობდნენ.

* * *

**გაირკვა საქართველოს ჩემპიონის ვინაობა 20 წლამდე ასაკის კალათბურთელთა შორის. ესაა „სოხუმი", რომელმაც ფინალური მატჩების სერია 2:1 მოუგო თბილისის „დინამოს".**

განსაკუთრებული სიმძაფრით გამოირჩეოდა დამატებითი — მესამე სატიტულო



შეხვედრა, რომლის ბედიც ერთმა ქულამ გადაწყვიტა — 86:85.

აღსანიშნავია, რომ დინამოელთა სნაიპერს სანაძეს ტყორცნები მხოლოდ მესამე პერიოდში წაუვიდა, როცა ზედიზედ ხუთი სამქულიანი ჩააგდო (სულ მისმა პირადმა მონაგარმა 28 ქულა შეადგინაძ, თუმცა მას შემდეგ, რაც მეურვედ ჯინჭარაძე მიუჩინეს, ბრძოლის ხასიათში საფუძვლიანი გარდატეხა მოხდა. ბოლო წუთებზე გაჩაღებულ ნერვების ომში ბულიავამ უფროსებისთვისაც კი შესაშური სიმშვიდით შეასრულა საჯარიმოები და პარტნიორებს უსაზღვრო სიხარული მიანიჭა.

◉ შეკვეთილი ინტერვიუ

# დიდი მომავალი გვეჭყანება!

**ეს ვაჟბატონი, რომლის არაორდინარულ აზრებსაც ქვემოთ გაეცნობით, არავის მოუწვევია. ის საკუთარი სურვილით გვესტუმრა რედაქციაში და „აჩაინურად" ინტერვიუ შემოგვთავაზა.**

**— დარწმუნებული ვარ, უმიზეზოდ არ გაირჯებოდით, ბატონო ჩემო, — ვეუბნები, — დაბრძანდით და აგვიხსენით, რამ შეგაწუხათ?**

— სულაც არა ვარ შეწუხებული, შეიძლება ითქვას, ნასიამოვნებიც კი გახლავართ. გუშინ ახალი პარტია დავარეგისტრირე და საოცნებო სურვილების ტალღებში ვცურავ.

**— ჰო, რა თქმა უნდა, — ვაკანტურებ თავს, — დიდად საპატიო საქმისთვის მოგიკიდიათ ხელი, ბატონო ჩემო, მით უფრო ახლა, როცა ქვეყანა საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადება, მაგრამ...**

— მაგრამ რა? — მაწყვეტინებს შეშფოთებული, — ჩემს გადაწყვეტილებაში საჩოთირო ან საეჭვო შეამჩნიეთ?

**— მაგრამ ისა, უფალო პოლიტიკოსო, რომ აუტანელ კონკურენციაში მოგიწევთ ტვინის ჭყლეტა, განა ვერ ამჩნევთ პარტიების რა ცვენაა ქვეყანაში? ამას ხომ არა სჯობდა რაიმე საწარმო გაგეხსნათ და ორი-სამი კაცი მაინც დაგესაქმებინათ?**

— მე გამეხსნა?

**— თქვენ არა, რა თქმა უნდა, გახსნით თავად მიშა გახსნიდა, მაგრამ ხალხს თქვენ დაასაქმებდით.**

— ხალხის დასაქმება არ მინდა, სწორედ მაგიტომ შევქმენი პარტია. საწარმოს ნაცების ხელში ვინ გამუშავებინებდა, აი პარტია კი სულ სხვა საქმეა, თუ ალღოიანად და ტაქტიანად მოიქცევი, მოკლე დროში ათეულათასობით კაცს დაასაქმებ.

**— ეგ საიდან მოიტანეთ?**

— საიდან და აქედან — მიშნაცების გამოცდილებიდან. აბა ერთი შეხედეთ ჩვენს პრეზიდენტს ნაცმოძრაობიდან დაუსაქმებელი თუ ვინმე დარჩა? თანაც სანათესაოსა და სამეგობროში უსაქმური და უცოდინარი თუ ვინმე ეგულებოდა, ყველანი თავზე სულ მინისტრებად და უფროსებად წამოგვასხა.

**— კაცო, თქვენ მიშას რას ედრებით, ეგ პრეზიდენტია, თანაც მსოფლიოს მიერ აღიარებული პირველი დემოკრატი და რაც მოეპრიანება, იმას გააკეთებს.**

— დემოკრატი? — თვალები გადმოეკარკლა, — ერთი მე ვარ ნაპოლეონ ბონაპარტე და მეორე კიდევ ეგ — სწორუპოვარი დემოკრატი. მე თუ მკითხავთ, სააკაშვილი პირწავარდნილი უზურპატორი და მონოპოლისტია.

**— საწვავის ბაზარზე მონოპოლისტობას რომ აბრალებენ, მაგას გულისხმობთ?**

— არა მარტო საწვავის ბაზარს, ეგ ვაჟბატონი პარტიული ბაზრის მონოპოლისტიც გახლავთ.

**— გეთანხმებით, მაგრამ ხომ ხედავთ ალტერნატივა გამოუჩნდათ და შეიქმნა საშიშროება, რომ შემოდგომაზე მაგ უპირატესობას დაკარგავს.**

— ვის გულისხმობთ, ბიძინა ივანიშვილის კოალიციას? პირდაპირ გეტყვით, მაგისგან არაფერი გამოვა თუ ხელისუფლებაში ივანიშვილი მოვა, ქვეყანაში ერთის მონოპოლია მეორეთი შეიცვლება, ეგ არის და ეგ.

**— მაგას საიდან ასკვნით?**

— თვით ივანიშვილის განცხადებიდან. არ გახსოვთ, პოლიტიკაში მოსვლისთანავე დაიქადნა — პარლამენტში აბსოლუტური უმრავლესობით მოვალო(!ქ. ეგ თუ ნამდვილად დემოკრატია, სააკაშვილივით უმრავლესობას რატომ ეზლაუჭება?

— თქვენი აზრით, აბა ვინ არის ნამდვილი დემოკრატი?

— ერთადერთი ნამდვილი დემოკრატები საქართველოში მარტო ჩვენა ვართ, დანარჩენები: „ეროვნულ-დემოკრატები" „ქრისტიან-დემოკრატები", „თავისუფალი დემოკრატები" ფსევდოა.

სუფთა სიაფანდია, ამიტომაც დავარქვი სახელად ჩვენ პარტიას „ნამდვილი დემოკრატები".

**— აქედან გამომდინარე, ალბათ თავად კოალიციაც არ მოისურვებს თქვენთან თანამშრომლობას.**

— ალბათ, თავად კოალიციაც არ მოისურვებს ჩვენთან თანამშრომლობას, მაგრამ არც ჩვენ გავცვლით ჩვენს ხალას დემოკრატიულ ინტერესებს „ქართული ოცნების" მონოპოლისტურ ზრახვებზე.

**— არც სხვა რომელიმე კოალიციაში გეგმავთ შესვლას?**

— არა, ჩვენ განცალკევებულად ვიმოქმედებთ, რადგან თავად პარტიის წესდება გვიკრძალავს რომელიმე კოალიციაში ან გაერთიანებაში შესვლას.

**— აბა მარტონი აპირებთ, ჩვენო ბატონო, ამ უზურპატორი ნაცების დამარცხებას?**

— ჩვენ საერთოდ არავის დამარცხებას არ ვგეგმავთ, არჩევნებში რა რაოდენობის ხმებსაც მოვიპოვებთ, იმითაც კმაყოფილი ვიქნებით.

**— მასე, შე კაცო, ხმები შეიძლება საერთოდ ვერც აიღოთ.**

— მერე რა, ნახეთ, ლეიბორისტები ბოლო პერიოდში ხმებს ველარ იღებენ, მაგრამ ხომ უყურებთ, სააკაშვილის და ივანიშვილის მაღალრეიტინგულ პარტიებს რა ლომბულად უტევენ.

**— მაპატიეთ, უფალო პოლიტიკოსო, მაგრამ ძალიან აბნეულად ლაპარაკობთ, თქვენი ნაუბარიდან კაცი ვერ გაიგებს ქვეყანაში მერამდენე ძალა იქნებით — პირველი, მეორე, მესამე თუ მეოთხე?**

— არც ერთი, გაიგეთ, ჩვენ არც ჩრდილოეთი ვიქნებით, არც დასავლეთი და არც ოკეანისგაღმელი, შესაძლოა, უფრო სამხრეთის პოზიცია ავირჩიოთ.

**— რატომ სამხრეთის?**

— უფრო თბილია და იმიტომ...

**— რა მაგ სიტყვის პასუხია, მაგრამ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, დედაქალაქს თქვენც ქუთაისში გადაიტანთ?**

— არა, პირიქით, ქუთაისს გადავიტან ლაზიკაში.

**— ჰოდა კაი კურდღელსაც დაიჭერთ. ნურვისთან ნუ გაერთიანდებით და მაგასაც ვნახავ, არჩევნებში როგორ გაიმარჯვებთ.**

— არც გვჭირდება. ხომ გითხარით, გამარჯვება და დამარცხებას ჩვენთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ამიტომაც არავისთანაც არ გავერთიანდებით. მიმაჩნია, რომ გაერთიანება ქართველების ეროვნულ ხასიათში არა ზის, ხომ გახსოვთ, ორჯერ გავერთიანდით (ერთხელ ზვიადის და მეორედ სააკაშვილის დროსძ და ორჯერვე წავიქეცით. ალბათ მესამე აღარც უნდა ვცადოთ.

— მასე, კაცო, გიფიქრიათ, პარლამენტში ერთდროულად რამდენი პარტია მოიყრის თავს?

— მოიყაროს, რა გენაღვლებათ, ნამდვილი დემოკრატია თუ გინდათ, სწორედაც ეგ იქნება.

**— აბა ამერიკელები გიჟები არიან, ორპარტიულობას რომ სჯერდებიან?**

— ისინი ამერიკელები არიან, ჩვენ — ქართველები. ვერ გამიგია რაში გჭირდება ამერიკული დემოკრატია, თუკი გვექნება მთელ მსოფლიოში თითით საჩვენებელი ქართული დემოკრატია, რომელსაც ყველასაგან განსხვავებით არჩევნებში გამარჯვებულები და დამარცხებულები არ ეყოლება. მერწმუნეთ, ქართულ დემოკრატიას პლანეტაზე დიდი მომავალი ეჭყანება!..

**ინტერვიუ ჩამოართვა**
**ოტია ჩართოლანმა**

◉ ინფორმაცია

## მიხეილ ალექსიძისა და სკოლის დირექტორის სასამართლო დავა შეწყდა

**53-ე სკოლიდან გარიცხული მოსწავლის მიხეილ ალექსიძისა და სკოლის დირექტორის ტარას შავშიშვილის სასამართლო დავა ოფიციალურად შეწყდა.**

**თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართულ პროცესზე ალექსიძემ დავის შეწყვეტის შესახებ განცხადება გააკეთა, რასაც საქმის კანონიერი მონაწილე ალექსიძის დედა, ლალი ლეკიშვილი თავიდან არ ეთანხმებოდა, თუმცა პროცესზე გამოცხადებული შესვენების შემდეგ ლეკიშვილმა შვილის პოზიცია გაიზიარა.**

**მიუხედავად ამ გადაწყვეტილების მიღებისა, მიხეილ ალექსიძე ბრალს არ აღიარებს, რომლის საფუძველზეც ის სკოლიდან გარიცხეს.**

**53-ე სკოლის ადმინისტრაციამ ალექსიძის სკოლიდან გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილება 2011 წლის ოქტომბერში მიიღო. ამის მიზეზად დირექტორის მიმართ სიტყვიერი შეურაცხყოფა დასახელდა.**

**ალექსიძე საქალაქო სასამართლოში შეტანილი სარჩელით სკოლიდან გარიცხვის გადაწყვეტილების გაუქმებას ითხოვდა.**

ინტერპრესნიუსი

◉ სულიერება

## წმინდა ანდრია პირველწოდებული



**12 მაისს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია წმინდა ანდრია პირველწოდებულს იხსენიებს, რომელიც საქართველოში ქრისტეს პირველმქადაგებლად ითვლება. ყოვლად ქებულმა მოციქულმა ანდრიამ ქრისტეს მოძღვრება იქადაგა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, მცირე აზიაში, შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ქვეყნებში და სკვითების ქვეყანაში.**

გადმოცემის თანახმად, საქართველოში შემოსულმა წმინდა ანდრია პირველწოდებულმა ქალაქ ტრაპიზონში მცირე ხანი დაჰყო. მან იქ დაიწყო სახარების ქადაგება, მრავალი განსაცდელი დაითმინა ურწმუნოთაგან, მაგრამ ბევრიც მოაქცია. იმ ადგილას, სადაც მან ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი დაასვენა, ამოჩქეფა მშვენიერმა წყარომ. მის გარშემო შემოიკრიბენ იმ ქვეყნის მკვიდრნი და მოციქულმა ნათელი სცა ყველას სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. იქაურ ქართველებს მღვდლები და დიაკვნები დაუდგინა და სარწმუნოების წესი და საზღვარი დაუდო.

ქართველებმა იქ ააშენეს ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია, სადაც მოციქულმა დაასვენა ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატის ასლი.

ანდრია პირველწოდებულმა მოიარა საქართველოს სხვადასხვა კუთხე, ქადაგებით ჩავიდა ტაოში, შემდეგ — სვანეთში. ბოლოს სიმონ კანანელთან ერთად გაემგზავრა ოსეთში და აფხაზეთში.

ცნობილია, რომ ნეტარმა ანდრია პირველწოდებულმა სვიმონ კანანელი დატოვა აფხაზეთში, თვითონ კი ჯიქეთისკენ გაეშურა.

...საბერძნეთში ჩასული ანდრია პირველწოდებული, ქალაქ პატრის მმართველმა ჯვარზე გააკრა...

## დუდიკვათსა და პაპათში მოწყვეტილნი წმინდა ლაზი მოწამენი

**12 მაისს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დუდიკვათსა და პაპათში მოწყვეტილ წმინდა ლაზ მოწამეებს, ასევე იმ მართლმადიდებელ სასულიერო და საერო პირებს იხსენიებს, რომლებსაც იქ თავი მოჰკვეთეს ქრისტიანული სარწმუნოებისთვის.**

წმინდა სინოდის სხდომამ განაჩინა, რომ XVII-XVIII საუკუნეებში, პაპათისა და დუდიკვათის გორაზე მოწყვეტილნი მართლმადიდებელნი, სასულიერო და საერო პირნი ასევე ქრისტიანობისთვის წამებული ყოველი ლაზი შერაცხილ იქნან წმინდანად.

## 14 მაისს თამარობაა!



**14 მაისს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს თამარ მეფის ხსენების დღეს. სხვათა შორის საქართველოში ბაგრატოვანთა შორის გამორჩეული გვირგვინოსნის ხსენება წელიწადში სამჯერ არის დაწესებული.**

...ცნობილია, რომ თამარის მეფობის დროს დიდი აღმშენებლობა დაიწყო საქართველოში. თამარ მეფემ უამრავი ომი მოიგო, მათ შორის აღსანიშნავია ბასიანთან მომხდარი ბრძოლის დროს ქართველ მხედართა გამარჯვება.

მეფე თამარის დროს აშენდა კლდეში ნაკვეთი ქალაქი ვარძია, ბეთანია, ფიტარეთი, ქვაბთახევი. საზღვარგარეთ კი პალესტინაში, კვიპროსზე, საბერძნეთში, ათონის მთაზე, პეტრიწონზე, კონსტანტინოპოლში მდებარე ლავრები და სავანეები უხვად შეამკო.

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დაგეგმილია უამრავი ღონისძიება თამარობასთან დაკავშირებით.

**გიული ლიპარტია**

**ოთარ ჟორდანია, გულნარა ქარჩავა, ვახტანგ თორდია, მერი გაბედავა, პაატა კოღუაშვილი, ლილი კილაბერია, თემურ ჩილაჩავა, მინედა ჭანტურია, ნუგზარ ებანოიძე, ანტონინა სხილაძე, დიანა ალანია თანაუგრძნობენ პროფესორ ნოდარ ჩხარტიშვილს დის**

**ლიანა ჩხარტიშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

**გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ამავე უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტ**

**ნინო ფხიკიძის**

**ტრაგიკულად დაღუპვის გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
*„საქართველოს რესპუბლიკაში"*
**299-62-77; 599 32-85-76.**

## მთელი გულით

იუზა ჩაკვეტაძე

# ღმერთო, ერთად დაგვილოცე!..

ვუძღვნი 70 წლის
ჯემალ კუხალაშვილს

*ძალას იკრებს ნამკაშური,
თეთრწვერიან მყინვარებით,
ჯემალს ეშვს ვერ გაჰკრავს შური,
ვერ აშინებს მძვინვარებით.*

*ზარი რეკავს საყდრებიდან,
გაიღვიძეს მწვერვალებმა,
ცხოვრებას სურს გაჰყვეს წმინდად,
განთიადს არ ემალება.*

*მადლი სთხოვა წარსულს ძველი,
შვილები ჰყავს სანაშენო,
მომავლისთვის საფუძველი
აწმყომ უნდა ააშენოს.*

*უყვარს მთებში სიარული,
ღამის ბინდი გაჰყვა ნისლებს,
პატარების ჟრიამული
იმედს აძლევს, ახალისებს.*

*ნაკადული მოჩხრიალებს,
მართვე აჭრას ცდილობს ცაში,
ნუშის ყლორტი, ნორჩი, ალვებს
ეჯიბრება მიმოხრაში.*

*არ ირღვევა ნაღდი ძმობა,
მამული თუ დედულია,
ლეჩხუმლების მასპინძლობა
სიალალით ქებულია.*

*მამული გვაქვს სანუკვარი,
ჯანღს ახლოს ნუ მივაკარებთ,
თუ გვსურს ღმერთთან საუბარი,
გულში გვქონდეს სიანკარე...*

*არ მოაკლო, ცაო, ცვარი,
მომავლისთვის აკვნებს თლიან,
ხვამლის კლდეში სალოცავი
წინაპრების ნაკვეთია.*

*რწმენა იმედს გაგვიცოცხლებს,
ვაზის კვირტებს მზე ახარებს,
ღმერთო, ერთად დაგვილოცე
საქართველოს ყველა მხარე!..*

*P. S. ჯემალ, სიტყვა გამიგრძელდა,
ჩემს გულს მეგობრობა არწევს,
იუბილარ მასპინძელთან
მოვედი და გჩუქნი ას წელს.*

**რედაქციისგან:** „საქართველოს რესპუბლიკა“ სულითა და გულით უერთდება ბატონ იუზა ჩაკვეტაძის გულთბილ პოეტურ მილოცვას...

## კროსვორდი



**ვერტიკალურად.** 1. პატარა მტაცებელი ნადირი. 2. პოლონელი მწერალი. 3. მყუდრო, უშფოთველი ცხოვრება. 4. ნასოფლარი ახალქალაქის რაიონში. 5. მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო, ძვ. წ. IX-VI საუკუნეებში. 6. დაბა სვერდლოვსკის ოლქში. 7. აკვნის ხელმოსავლები ჯოხი. 8. აზრის ჩამოყალიბებისა და გაგებინების საშუალება საზოგადოებაში. 9. ბრალდებულის უდანაშაულობის დამტკიცება. 11. სისხლის წარმომქმნელ ორგანოს დაავადება. 14. ოლქი იტალიაში აპენინის ნახევარკუნძულის ჩრდ. დასავლ. ნაწილში. 15. ღვინით მოვაჭრე. 16. ლითონის საჟღარუნებელი. 17. ვისიმე, რისამე ცუდი თვისება. დეფექტი. 19. მიწის საზომი ერთეული ინგლისსა და ჩრდ. ამერიკაში. 20. პიტალო კლდე. 22. ძაღლების გამოფენაზე, წრე, რომელზედაც ძაღლებს ატარებენ. 24. სატირული ხასიათის მიბაძვა ვისიმე გაკილვის მიზნით. 25. ქალის სახელი. 26. ქიმიური ელემენტი, იყენებენ რადიოტექნიკაში. 27. კარჩაკეტილი საზოგადოებრივი დაჯგუფება, რომელიც იცავს თავის წოდებრივ პრივილეგიებს. 28. ადამიანის შესაბამელი ორთვალა ეტლი. 29. ძველი ბერძენი მწერალი. 31. უნგრელი კომპოზიტორი. 32. მოკლე უვადო ხმალი. 33. შენობის მთავარი კარნიზის ზემოთ დაშენებული კედელი. 34. ზღვის პატარა ყურე, რომელსაც იყენებენ გემების დასადგომად. 35. მიმართულება, გეზი. 38. ზოგი დიდი მამათა მონასტრის სახელწოდება. 39. სასულე საკრავების სარქველი. ბგერის სიმაღლის შესაცვლელად. 40. რასაც რქენა სჩევია. 42. კრივში ბრძოლის დროის მონაკვეთი. 43. ბუდისტების მისტიკური მოძღვრების მიხედვით უდიდესი ნეტარება. 44. ბურჟუაზიულ-არისტოკრატიულ საზოგადოებაში მოდაზე ჩაცმული მამაკაცი, ფრანტი. 46. ჭაობის მკურნალი. 47. წმინდანად შერისხული ქართველი. 48. სასტიკი მმართველი, დესპოტი. 50. ტბა პრიმორიეს მხარეში. 51. სოციალისტური მრეწველობის ერთ-ერთი ფორმა. 53. ხურდა ფული აშშ-სა და სხვა ქვეყნებში. 54. წითელი ფერის ძვირფასი ქვა. 56. მავნე არსება ლამაზი ქალის სახით. 58. მდინარე კამის მარცხენა შენაკადი. 59. სოფელი ოჩამჩირის რაიონში. 60. აბრეშუმის ან შალის მკვრივი ქსოვილი, იყენებენ საკაბედ ან ქალის საკოსტუმედ.

**თარაზულად.** 1. ძველ საბერძნეთში საფლავის ქვის წარწერა. 4. იოანეს თუმანიანის პოემა. 7. თეორიული მექანიკის დარგი, რომელიც მოიცავს დინამიკას და სტატიკას. 10. იგივეა, რაც ზარნაშო. 12. აგრესიული სამხედრო წრეების პოლიტიკური ბატონობა. 13. რგოლისებრი მარჯნის კუნძული. 17. დამოუკიდებლად არსებული ორგანიზმი. 21. სპექტაკლის, კინოფილმის დადგმის სამხატვრო ხელმძღვანელი. 23. წიწილებიანი ქათამი. 24. განუვითარებელი მარტივი მოვლენა, იმავე რიგის შემდეგდროინდელ მოვლენებთან შედარებით. 27. რუსული ანბანის წინამორბედი სლავური ანბანი. 30. ერთი დედააზრით გაერთიანებული სამი ლიტერატურული, ან მუსიკალური ნაწარმოები. 36. ყოველგვარი ცოცხალი არსება, ცოცხალი სხეული. 37. ტაძარი კახეთში. 41. მწნილი, მწნილეული. 45. ენდროს ფესვებისგან მიღებული საღებავი. 49. გრძელი უტარო მათრახი. 52. ვოლგოგრადის ძველი სახელწოდება. 53. რაიმე სხეულის მიერ ელექტრომაგნიტური ენერგიის გამოსხივება. 55. სოფელი შუახევის რაიონში. 57. ძველ საბერძნეთში კარიის ძველი ქალაქი. 60. ხერხი, ხრიკი. 61. უშფოთველი, აუმღვრელი ცხოვრება. 62. რუსი მწერალი ქალი. 63. იგივეა, რაც იგრეკი.

შეადგინა
**ზინა ლობჟანიძემ**

### 5 მაისს გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

**ვერტიკალურად:** 1. დასტა. 2. იორი. 3. კამბიუმი. 4. ირიდიუმი. 5. ალოე. 6. აპისი. 8. ნერუდა. 9. დოგმა. 11. იტალია. 15. კინოლოგია. 16. გლუტამინი. 17. კაზეინი. 19. ინცუხტი. 20. შპილი. 21. იამბი. 24. კოლიმა. 25. ჰიპოფიზი. 26. ვილისი. 27. სამანი. 29. სალბი. 31. ბუკლე. 34. ამინი. 35. დიკა. 36. როფი.

**თარაზულად:** 3. დენდი. 5. ავაზა. 7. სინდრომი. 10. პიროლიზი. 12. აირი. 13. დიმეგალია. 14. შასი. 17 კალციუმი. 18. ამილოიდი. 22. კოლიზეი. 23. მირიადი. 28. იზოტოპია. 30. ცხინვალი. 31. ბაია. 32. მოდულაცია. 33. გალა. 37. კოალიცია. 38. სინონიმი. 39. ეკადა. 40. იმპულსი. 41. იფანი.

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## ანეკდოტები

**კვირა** საღამოს, მიხო და მარო სტუმრად წასასვლელად ემზადებიან. მარო სარკესთან დგას და იპრანჭება.

— მიხოო . . . როგორ გამოვიყურები?

— როგორც ყოველთვისნა, მაგრამ არა უშამს, მალე ბნელდება.

* * *

**ორი** დაქალი ხვდება ერთმანეთს.

— გოგო, გუშინ ქმარს ვუღალატე! — ეუბნება ერთი მეორეს.

— უიმე, სიყვარულით?

— ჰო, გოგო, აბა 100 დოლარი რა ფულია?!



* * *

**გოგო** და ბიჭი კაფეში სხედან:

— ყველა ადამიანში არის რაღაც უცნაური, — ამბობს გოგო.

— ჩემში არა, — პასუხობს ბიჭი.

— როგორ არა, ახლა გაკვირდებოდი, შენ ჩაის მარცხენა ხელით ურევ.

— მერე რა?!

— უმრავლესობა ჩაის კოვზით ურევს.

* * *

**თვითმფრინავში** შუქი ჩაქრება.

— ვაა, ტუნელში შევფრინდით, ტო! — იძახის ნარკომანი.

* * *

**ტანდაბალ** მიხოს ცოტა მაღალი ვირი ჰყავს გამოყვანილი გასაყიდად.

— რა ღირს? — ეკითხება კლიენტი.

— 1000 დოლარი.

— იფ, კარგი კია, მაგრამ ვერ შევწვდები!

— იი, მეც რომ ვერა ვწვდები, იმიტომა ვყიდი, თორე ამაი კაცი გაყიდიდა?

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24